ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის

სასწავლო უნივერსიტეტი

აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისიტრირების ფაკულტეტი

შანიძე ნინო

ტურიზმის პოლიტიკა საქართველოსა და ევროპის ქვეყნებში

ბიზნესის ადმინისტრირება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ–ხელმძღვანელი: ჰამლეტ სანიკიძე,

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი, ასისტენტი

ხიჭაური

2019

ანოტაცია

ტურიზმის ინდუსტრიას შეუძლია ხელი შეუწყოს მშვიდობისა და განვითარების გამყარებას ქვეყანაში, შემოსავლების ზრდის, ეკონომიკის დივერსიფიკაციის, გარემოს დაცვისა და კულტურათა დაახლოების გზით. ეს დარგი თანამედროვე ეტაპზე ჩამოყალიბდა, როგორც ეკონომიკის ყველაზე უფრო სწრაფად განვითარებადი დარგი, რომელიც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას, სამუშაო ადგილების შექმნას, სიღარიბის დაძლევას, მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკურ კეთილდღეობას და შესაბამისად, ეკონომიკის დაჩქარებულად განვითარებას. ტურიზმი სწრაფად ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, ვიდრე ეკონომიკის სხვა დარგები, იძლევა ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდის დაბალანსების საშუალებას.

საქართველოს თვითმყოფადი კულტურა, ისტორიული და არქიტექტურული ძეგლები, სასიამოვნო კლიმაი, გეოგრაფიული მდებარეობა, განთქმული სტუმართმოყვარეობა და მასპინძლობა ქმნის იმ ინფრასტრუქტურის შემადგენელ კომპონენტებს, რომელიც ტურიზმის განვითარების საფუძველია.

ჩვენმა ქვეყანამ ამ დროისთვის ამ დაიკავა საპატიო ადგილი მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე, ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ქართული ზღვისპირა ქალაქი, აღიარეს როგორც ყველაზე სწრაფად განვითარებადი ტურისტული მიმართულება და ქ. ბათუმს „ტურისტული ოსკარი“ გადაეცა.

მსოფლიო საერთო რიცხვში საქართველოს სულ მცირე, მაგრამ მზარდი ხვედრითი წილი უკავია. მსოფლიო თანდათან ინტერესდება ჩვენი ქვეყნით, ამის დასტურია სასტუმრო ინდუსტრიის ცნობილი ტრანსნაციონალური კორპორაციებიც, რომლებიც საქართველოში ტურიზმის ბიზნესში არიან ჩართულნი.

წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ ტურიზმის პოლიტიკას საქართველოსა და ევროპის ქვეყნებში.

ANNOTATION

The tourism industry can promote peace and development in the country by boosting revenue, diversifying the economy, protecting the environment and bringing cultures closer together. This branch has emerged as the fastest growing economy in the modern world, contributing significantly to foreign currency inflows, job creation, poverty alleviation, social and economic well-being of the population, and thus accelerated economic growth. Tourism is creating new jobs faster than other sectors of the economy, allowing for a balance of economic growth.

Georgia's unique culture, historical and architectural monuments, pleasant climate, geographical location, famed hospitality and hospitality form part of the infrastructure that underpins tourism development.

Our country at this time occupies an honorable place in the world tourist market, as evidenced by the fact that the Georgian seaside city has been recognized as the fastest growing tourist destination. Batumi was awarded "Tourist Oscars".

Georgia has the smallest but growing share of the world's total. The world is gradually taking an interest in our country, as evidenced by the well-known hotel industry's transnational corporations involved in the tourism business in Georgia.

In this paper we will discuss tourism policy in Georgia and European countries

სარჩევი

შესავალი 5

თავი I. მოგზაურობისა და ტურიზმის ისტორია 6

1.1 ტურიზმის განვითარების ისტორია 6

1.2 ტურიზმის მენეჯმენტის სისტემა და ტურისტული პროდუქტის მენეჯმენტი 13

თავი II. ტურიზმის პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე 29

2.1 ბიზნესის ეთიკის პრობლემატიკა ტურიზმის პოლიტიკის ჩარჩოს მიხედვით 29

2.2 პოლიტიკა და საგარეო პოლიტიკის გავლენა ტურიზმზე 34

თავი III. საქართველოს ტურისტული რესურსები და ტურიზმის განვითარების პერსპექტივები 39

3.1 საქართველოს ტურისტული რესურსები 39

3.2 საქართველოში ტურიზმის განვითარების პერსპექტივები 42

დასკვნები და რეკომენდაციები 50

გამოყენებული ლიტერატურა 53

შესავალი

საკვლევი თემის აქტუალურობა. ტურიზმი საქართველოში ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია. წლების მანძილზე არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა მისი განვითარებისათვის ამჟამად მიმდინარე მრავალი სახელწიფო პროგრამაც მიზნად ისახავს ტურიზმის ხელშეწყობას. თუმცა ეფექტურობის მიღწევას ხელს უშლის საქართველოს მათ შორის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობა, რომელიც საკმაოდ მოძველებულია. გარდა ამისა ცალკეული მომართულებებით შესაძლებელია ტურიზმის განვითარების წახალისებაც.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი ეკონომიკური საქმიანობის პრინციპებმა და მეთოდებმა სტრუქტურულ-ფუნქციონალური მიდგომების შეხამებამ განაპირობა.

კვლევაში გამოყენებულია ფაქტიური მასალა პერიოდული გამოცემებიდან, სამეცნიერო წყაროების. ასევე, მუშაობისას იყო გამოყენებული გლობალური ქსელის (ინტერნეტის) ელექტრონული ინფორმაციული რესურსები.

საქართველო ევროპისა და აზიის საზღვარზე მდებარეობს. დასავლეთით მას შავი ზღვა აკრავს, ჩრდილოეთით რუსეთი ესაზღვრება, აღმოსავლეთით - აზერბაიჯანი, სამხრეთით კი თურქეთი და სომხეთი. საქართველოს ბუნებრივიკლიმატური მრავალფეროვნებიდან გამომდინარე დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს შავი ზღვის სანაპირო ზოლის არსებობა, რომელიც მეტად მიმზიდველ ადგილს წარმოადგენს როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ტურისტებისათვის. საქართველოს კარგი პოტენციალი გააჩნია სამთო-სათხილამურო სპორტის, ალპინიზმის, აგროტურიზმის განვითარებისათვის, რასაც განაპირობებს დიდი და მცირე კავკასიონის მთაგრეხილების არსებობა. კავკასიონის მრავალი მწვერვალის სიმაღლე 4000 მეტრს აღემატება, ხოლო შხარა და ყაზბეგი 5000 მეტრსაც კი აჭარბებს.

ჩვენი ქვეყანა გამოირჩევა, როგორც კურორტების, ასევე ე.წ. საკურორტო ადგილების სიმრავლითაც. გარდა იმისა, რომ კურორტებზე მიმზიდველი ბუნება და გარემოა დასვენებისათვის, მათ უმრავლესობას სამკურნალო დანიშნულებაც გააჩნია. აქვე უნდა აღინიშნოს მინერალური სამკურნალო წყლებიც, რომელთა რიცხვი 2000 აღემატება.

ზემოთ ხსენებულ ფაქტორებს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ტურიზმის განვითარებისათვის, რადგან ვიზოტორთა მოგზაურობის მიზანს მხოლოდ დასვენება არ წარმოადგენს, ხშირად ისინი მიემგზავრებიან რეკრეაციის ან გამოჯანმრთელების მიზნით, შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ ამ კუთხით საქარველო დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

თავი I. მოგზაურობისა და ტურიზმის ისტორია

1.1 ტურიზმის განვითარების ისტორია

მართალია წარმოდგენა მოგზაურობასა და ტურიზმზე ისეთივე ძველია, როგორც თავად ცივილიზაცია, მაგრამ ისტორია გვიჩვენებს, რომ მოგზაურობა ყოველთვის სასიამოვნო არ ყოფილა. მსოფლიო მოსახლეობამ უკვე გადააბიჯა მეორე ათასწლეულის მიჯნას, ამიტომ საჭიროა ტურიზმის ისტორიული განვითარების მოკლე მიმოხილვა, რათა შევაფასოთ თანამედროვე ტურიზმის გარემო და შევიმეცნოთ ტურიზმის გამოწვევა.

დასვენებისა და გართობის მიზნით გამგზავრება პირველად პოპულარული გახდა ძველ რომაელებს შორის, რომლებიც ძირითადად პირამიდების დასათვალიერებლად მიემგზავრებოდნენ. შემდგომში მოგზაურობის ფორმები და გეოგრაფია ფართოვდება. უფრო მრავალფეროვანი ხდება ამ მოგზაურობის მიზნებიც: სანახაობრივი, სასწავლო, რელიგიური, და სხვა. შენდება მოგზაურთა დროებით გასაჩერებელი სახლები, სასტუმროები, ქარვასლები, სტუმრის სახლები, ელიტარული ფენების წარმომადგენელთათვის საზაფხულო აგარაკები, რეზიდენციები.

მოსახლეობის იმ შეძლებული ფენების წრმომადგენლებს, ვინც ცნობისმოყვარეობისათვის მოგზაურობდა უცხო ქვეყნებში, XVII საუკუნის მიწურულიდან ტურისტებს უწოდებდნენ. სამრეწველო რევოლუციის შემდეგ, XVIII-XIX საუკუნეებსი გამოგონებულ იქნა ორთქლმავალი და მატარებელი, რამაც არსებითი ზეგავლენა იქონია მოგზაურობის გააქტიურებაზე. პოპულარული ხდება მოდების მოყვარულთა გამგზავრება პარიზში, მუსიკის მოყვარულთა - იტალიაში, ხოლო ევროპის სხვადასხვა ქალაქებში სასწავლებლად გამგზავრებამ დიდი ტურის სახელი მიიღო. სწორედ ამ პერიოდში, 1841 წელს ინგლისელმა სასულიერო პირმა თომას კუკმა პირველად გაუწია ჯგუფის გამგზავრებას კომერციული მომსახურება. ორგანიზებული ჯგუფური ტური, რომელშიც შედიოდა 20 წუთიანი მგზავრობა რკინიგზით, ჩაის, ფუნთუშების და სასულე ორკესტრის თანხლებით. გზაში ექსკურსიამძღოლის ფუნქცია თავად თომას კუკმა იკისრა. ამ მოგზაურობაში მონაწილეობა მიიღო 450 - მა ადამიანმა და თითოეულისთვის 1 შოლინგად ფასობდა. კუკის ეს ქმედება ემსახურებოდა უფრო სოციალურ მიზნებს, ვიდრე კომერციულს. ის მიისწრაფვოდა ამ ქმედებით ეჩვენებინა, რომ შეიძლება

თავისუფალი დროის მიზანშეწონილად გამოყენება. მიუხედავად ამისა, ეს ფაქტი ორგანიზებული, კომერციული ტურიზმის პირველ ნაბიჯად არის მიჩნეული. აღსანიშნავია, რომ ბრიტანეთში დღესაც არსებობს ეს ტურისტლი ფირმა სახელწოდებით Thomas Cook and Son.

XX საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვან მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ავტომობილის გამოგონება, თუმცა პირველ მსოფლიო ომამდე ტურისტთა ძირითადი ნაკადი მაინც სარკინიგზო და სანაოსნო ტრანსპორტით სარგებლობდა. 20 – 30-იან წლებში ჩნდება ტრანსპორტის კიდევ ერთი ეფექტიანი საშუალება - თვითმფრინავი, რაც აძლიერებს ტურისტულ აქტივობას.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება მასობრივი საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ხანა. 1950 წელს, საერთაშორისო ტურისტთა რაოდენობა 25 მილიონს აღწევს, 1970 წელს 270 მილიონს, 1990 წელს 400 მილიონს. ამჟამად თითქმის ყველა ადამიანი მეტნაკლებად ჩაბმულია ტურისტულ საქმიანობასი. XX საუკუნის ბოლოს მთელ მსოფლიოში 4,5 მილიარდი ტურისტი მოგზაურობდა, მათ შორის 10% საერთაშორისო ტურისტები იყვნენ და ყოველწლიურად ხარჯავდნენ 100-150 მილიარდ აშშ დოლარს.

შუასაუკუნეებში როგორც ევროპული, ისე აზიური ქვეყნების მცხოვრებლები მოგზაურობების უმეტესობას ახორციელებდნენ უცნობი მიწების მონახულების მიზნით. შედეგად ათვისებული იქნა მრავალი ტერიტორია, გაკვალულ იქნა ახალი გზები, მოგზაურობის ხასითი იცვლებოდა. განსაკუთრებული აქტუალობა ევროპის ქვეყნებში შეიძინა მომლოცველობამ ქრისტიანული წმინდანებისადმი და მოგზაურობამ განათლების მიღების მიზნით. შუა საუკუნეებსი ეყრება საფუძველი ტურიზმის ინფრასტრუქტურის იმ ძირითად ელემენტებს, როგორებიცაა: გზები, ფუნდუკები და დუქნები.

XVIII საუკუნიდან დაწყებული მოგზაურობებზე მუდმივი მოთხოვნა იწყება. ტურისტული მიზნებით მოგზაურობები ხორციელდებოდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ. 1750 წლიდან 1850 წლამდე ანუ სამრეწველო რევოლუციის პერიოდში მოხდა ფართო ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები და წარმოიქმნა მასობრივი ტურიზმის საფუძვლები. სოფლის მეურნეობის მუშსაკები მანუფაქტურული წარმოებისა და ცხოვრების სტილზე გადადიოდნენ, წარმოიქმნა საზოგადოების საშუალო ფენა და მათი მოთხოვნები მოგზაურობაზე, როგორც თავისუფალი დროის გატარებასა და დასვენებაზე.

სამრეწველო რევოლუციის პერიოდში შეიქმნა ორთქლის ძრავა, რითაც მოძრაობდნენ მატარებლები და გემები. პროფესიულმა ცვლილებებმა თან მოიტანა სოციალური ცვლილებები, რაც ძირითადად განპირობებული იყო საშუალო კლასის წარმოქმნითა და გაფართოებით. მათ გართობისა და დასვენებისთვის უფრო მეტი დრო მიეცათ და მოთხოვნილება გაუჩნდათ ემოგზაურათ.

ევრაზიის დერეფნის ბუნებრივი ფუნქციით საქართველო წარმოადგენდა „დიდი აბრეშუმის გზის“ მნისვნელოვან მონაკვეთს; ქართლის სამეფოს აღწერისას ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი (ძვ.წ. 64-63, ახ.წ. 23-24) ამბობს, რომ ოთხი გზა თავს იყრიდა ქართლის სამეფოს დედაქალაქ მცხეთაში. მისისვე ცნობით, ხალხი მეურნეობასა და მრეწველობას მისდევდა და ნწარმს მხოლოდ ადგილზე მოსახმარად კი არ ამზადებდა, არამედ უცხოეთში გასაყიდადაც, როგორც ივანე ჯავახიშვილი წერს: „ ეტყობა აღებ-მიცემობას ფეხი მაგრად ჰქონდა მოკიდებული. კოლხეთში რამდენიმე განთქმული სავაჭრო ადგილი იყო.“

„აბრეშუმის გზას“ - ტრანსკონტინენტური სავაჭრო საქარავნო გზა, კვეთდა მთელი მსოფლიოს უდიდეს ნაწილს, დაწყებული ჩინეთიდან ხმელთაშუა და შავი ზღვების სანაპიროების გავლით, დასავლეთის ქვეყნებისკენ მიემართებოდა. ეს იყო საქონლის, ადამიანებისა და იდეების ტრანსპორტირება ევრაზიის ქვეყნებს შორის. 12000 კილომეტრზეე გადაჭიმული გზა წარმოადგენდა დამაკავშირებელ არტერიას მსოფლიოს უდიდეს ცივილიზაციებს სორის - ჩინური, მონღოლური, ინდური, სპარსული, რომაული, ბერძნული, ბიზანტიური, მესოპოტამიური და ეგვიპტური, იგი ერთმანეთთან აკავშირებდა ევრაზიის სახელწიფოების დიდ ნაწილს.

ამ დროიდან იწყება საქართველოში სასტუმროების ტიპის სახლების მშენებლობა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო საქართველოს მდებარეობით. უამრავ ვაჭარს თუ უბრალოდ, მოგზაურს უხდებოდა საქართველოში და საქართველოს გავლით გადაადგილება. საქარავნე გზებზე ყოველი ერთი დღის სავალზე შენდებოდა სასტუმროს ტიპის სახლები, რომლებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელწოდებით ფუნქციონირებდნენ: იამი, მანძილი, ასპინძა, მილიონი, ფუნდუკი, ქარვასლა, სასვენია, ხანი, სამადლო. აქედან ქართულია სასვენია, ხანი და სამადლო, ფუნდუკი - ბერძნული, იამი - მონღოლურ-თურქული, მანძილი - არაბული, ქარვასლა - სპარსული. ქართველ მოგზაურთა შორის აღსანიშნავია:

- საეკლესიო მოღვაწე ტიმოთე გაბაშვილი, რომელმაც 1755-1759 წლებში იმოგზაურა იერუსალიში. ფართო ერუდიციის წყალობით მან დაწერა სამოგზაურო - მემუარული ჟანრის ნარკვევი , სახელწოდებით - „მიმოსვლა“, სადაც უმტავრესი ყურადღება ეპყრობა ამათუიმ ტერიტორიაზე არსებული რელიგიური ობიექტების აღწერილობას. გარდა ამისა ნასრომში არის საყურადღებო გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ცნობები.
- რაფიენ დანიბეგაშვილი რომელიც 1995 წელს ერეკლე II- მ სპეციალური დავალებით მიავლინა ინდოეთში, ქ. მადრასში, სომეხ დიდვაჭართან - მას კომერციული ურთიერთობა ჰქონდა თბილისთან. შემდგომში დანიბეგაშვილმა კიდევ ბევრი იმოგზაურა აღმოსავლეთის ქვეყნებში და დაწერა თხზულება „მოგზაურობა ინდოეთში“ რომელიც 1815 წელს გამოიცა მოსკოვში

- გიორგი ავალიშვილი, რომელიც XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ქართლე-კახეთის სამეფოს წარმომადგენელი იყო რუსეთის იმპერატორის კარზე. შესაბამისად იგი ბევრს მოგზაურობდა და შექმნა მრავალმხრივ საინტერესო ნაშრომი: „მოგზაურობა თბილისით იერუსალიმისადმი საბერძნეთსა ზედა; უკუქცევა იერუსალიმით თბილისისადმივე კიპრის ჭალაკისა, მცირისა აზიისა და ანატოლიის ძალით“

XIX საუკუნეში საქართველოსა და მთელი კავკასიის ვაჭრობის ცენტრი იყო თბილისი. ამ დროს თბილისში იყო ორი მთავარი ბაზარი, 704 დუქნით, რომლებიც უმთავრესად სომეხ, თათარ და ქართველ ვაჭრებს ეკუთვნოდათ. რუს ვაჭართაგან ძალიან ცოტას ჰქონდა საკუთარი საწყობი ბაზარშივე. შუა ბაზარში გამართულიი იყო სხვადასხვანაირი სახელოსნო: ერთი ქუჩა ეჭირა მხოლოდ მეწაღეებს, მეორე - მექუდეებს, მესამე - მჭედლებს, მეოთხე - ზეინკლებს და ა.შ.ოქრომჭედლები, აბრეშუმის მქსოველნი, მესაჭურველნი - ყველა სხვა ხელობის ოსტატები აქ ხალხის თვალწინ მუშაობდნენ, „ უცხოელთათვის ეს ისეთი საინტერესო სანახაობაა, რომ ბაზარში გასეირნება ყველაზე სასიამოვნო გასართობია თბილისში“.

საქართველოში საშინაო ტურიზმის განვითარების დასაწყისად უნდა ჩაითვალოს 1921 წლის შემოდგომაზე გ. ნიკოლაძის საერთო ხელმძღვანელობით მოწყობილი მასობრივი ორდღიანი წლიური ლაშქრობა მარშრუტით: თბილისი-კოჯორი-კიკეთი-წყნეთი-თბილისი 145 ადამიანის მონაწილეობით.

XX საუკუნის 90 - იან წლებამდე საქართველოში მოქმედებდა 65 ტურისტული ობიექტი 20 ათასი საწოლის ტევადობით, რომლებიც განლაგებული იყო 21 ადმინისტრაციული რაიონის ტერიტორიაზე და 800 ათასზე მეტ ტურისტს ემსახურებოდა. საქართველოზე გადიოდა 87 ტურისტული მარშრუტი.

XX საუკუნის 80 - იან წლებში ყოველწლიურად საქართველოში ტურისტთა და დამსვენებელთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 4 მილიონ კაცს, მათგან კურორტებზე სამკურნალოდ ჩამოსულთა რაოდენობა კი 2-2,5 მილიონს აღწევდა.

ადრე არსებული სისტემის პირობებში ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური კავშირი ემსახურებოდა ე.წ. „საშინაო“ ტურიზმს. აქ მუშავდებოდა სხვადასხვა პაკეტი ან „სალასქრო მარშრუტი“ ტურისტებისთვის, რომელიც მოიცავდა მთელი სსრკ - ის გეოგრაფიულ სივრცეს და წარმომადგენლობები ჰქონდა სსრკ-ის ყველა მნიშვნელოვან ქალაქში. ტურიზმისა და ექსკურსიების კავშირის მომსახურება მოიცავდა საჰაეროო ბილეთების უზრუნველყოფას საქართველოსა და სსრკ - ს ქალაქებისთვის, ექსკურსიების განხორციელების პროგრამებს, ავტობუსების ბილეთების რეზერვაციას, მუზეუმებისა და სხვა საინტერესო ადგილების დათვალიერებას.

საბჭოთა ტურისტები საქართველში ჩამოდიოდნენ არამარტო კულტურული და ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად, არამედ, უფრო

მეტად დასასვენებლად და სამკურნალოდ. საგზურები იყიდებოდა ცენტრალიზებულად მოსკოვში და ნაწილი ეგზავნებოდა საქართველოს. საქართველოდან დიდი მოთხოვნა იყო ცენტრალური აზიისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების საგზურებზე.

საზღვარგარეთ ტურისტების გაგზავნა ხდებოდა ტუროპერატორ „ინტურისტის“ მიერ, თუმცა ტურისტული ჯგუფები კომპლექტდებოდა პროფკავშირების მეშვეობით, ხოლო „ინტურისტი“ ამ ჯგუფებს კვალიფიციური გიდ-თარჯიმნებით უზრუნველყოფდა.

საერთაშორისო ტურისტების შემოყვანას აკონტროლებდა „უცხოური ტურიზმის მომსახურების ადმინისტრაცია“, რომელიც ექვემდებარებოდა სსრკ - ს მინისტრთა საბჭოს.

90 - იანი წლებიდან რადიკალურად შეიცვალა საქართველოს ტურიზმის მდგომარეობა. სამოქალაქო ომის შემდეგ ქვეყანა ისეთ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ ტურიზმზე ფიქრიც რთული იყო. ამასთან, ტურისტული ინფრასტრუქტურა დევნილების თავშესაფრად იქცა. 90-იანი წლების მეორე ნახევარში გაჩნდა აზრი, რომ საქართველო შეიძლებოდა შეერთებოდა „აბრეშუმის გზის“ საერთაშორისო პროექტს, რომელიც დაიგეგმა და ხორციელდებოდა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ. შესაბამისად საქართველოში დაიწყო ტურიზმის განვითარების ახალი ხანა და თუმცა ტურისტთა რაოდენობა 20 წლის წინანდელი რაოდენობის მცირე ნაწილია, საქართველოს ტურისტული პროდუქტი თანდათან იღებს თანამედროვე ტურისტული პროდუქტის სახეს.

საერთაშორისო ტურიზმი განვითარებასთან ერთად იზრდება სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების როლიც. ტურისტული საქმიანობის აქტივიზაციისა და მხარდაჭერისთვის თანდათანობით ჩამოყალიბდა ორგანიზაციების გარკვეული სისტემა. მასში შევიდა რეგიონული ინსტიტუტები და საერთო ეროვნული ორგანიზაციები.

ტურიზმისა და კურორტების მართვის სახელმწიფო რეგულირების არსი იმაშია, რომ სახელმწიფო აღიარებს ტურიზმს, როგორც დარგს, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ჩამოყალიბდა და ხელს უწყობს მის განვითარებას, რომელიც ქმნის სასურველ გარემოს მისი ფუნქციონირებისათვის, განსაზღვრავს დარგში პრიორიტეტულ მიმართულებებს, საერთაშორისო დონეზე რეკლამას უწევს ქვეეყნის ტურისტულ პოტენციალს და ქმნის ტურისტული საქმიანობისთვის სასურველ იმიჯს. ტურისტული საქმიანობის სახელწიფო რეგულირების ძირითადი მიზნებია:

- მოქალაქეთა დასვენების, თავისუფალი გადაადგილების და მოგზაურობის დროს მათი უფლებების უზრუნვეელყოფა;
- ტურისტების გაჯანსაღებისა და განათლებისათვის პირობების შექმნა;

- ტურისტული ინდუსრიის განვიტარებისათვის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;
- ტურისტული საჩვენებელი ობიექტების შენარჩუნება, ქვეყნის ტურისტული და საკურორტო პოტენციალისა და რესურსების რაციონალური გამოყენება.

ტურიზმის სახელმწიფო რეგულირებაში შედის:

- ტურისტული ინდუსტრიის სფეროში იერარქიული ურთიერთობების მოწესრიგებისა და დახვეწისაკენ მიმართული საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების შექმნა;
- ტურისტული პროდუქტის შიდა და საერთაშორისო ბაზარზე გატანისთვის ხელშეწყობა;
- ტურისტულ ინდუსტრიაში ლიცენზირებისა და სტანდარტიზაციის სისტემების დანერგვა, ტურისტული პროდუქტის სერთიფიცირება;
- ტურისტების ქვეყანაში შემოყვანის, ქვეყნიდან გაყვანის და ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნის წესების შექმნა;
- ტურიზმის განვითარებისათვის მიზნობრივი პროგრამების შექმნისა და რეალიზაციისთვის სახელწიფო დაფინანსების გამოყოფა;
- ტურისტების უფლებებისა და ინვესტიციების დაცვისა და მათი უსაფრთხოების უზრინველყოფა;
- ინვესტიციებისათვის სასურველი გარემოს შექმნა;
- ტურისტული საქმიანობის საკადრო უზრუნველყოფის მხარდაჭერა.

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის ეგიდით, 1995 წელს კადისში (ესპანეთი) ჩატარდა ტურიზმის საერთაშორისო ფორუმი, რომელშიც მსოფლიოს 52 ქვეყნის პარლამენტარები მონაწილეობდნენ.

ფორუმმა აღიარა, რომ სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს ტურიზმის განვითარებისათვის უაღრესად საჭირო პრობლემები, კერძოდ:

- ტურისტული ფორმალობების მოწესრიგება და მოგზაურობის უსაფრთხოების ამაღლება;
- ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ტურისტული საწარმოების მენეჯერებისა და მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისთვის ხელის შეწყობა;
- ტურისტული ობიექტების ირგვლივ, ტურისტულ რეგიონებში ეკოლოგიური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა;
- ტურიზმში საერთაშორისო ნორმატივებით დადგენილი სტატისტიკური აღრიცხვიანობისა და კონტროლის უზრუნვლეყოფა;
- ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისათვის ისეთი პირობების შექმნა, რომელიც უზზრნველყოფს ეროვნული ტურისტული პროდუქტის უცხოეთის ბაზარზე გატანას.

საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში მიღებულია ტურიზმის

განვითარების ხელშეწყობისათვის შემდეგი სახის ეკონომიკური და ადმინისტრაციული მექანიზმები:

- საგადასახადო შეეღავათები, სუბსიდიები და დოტაციები;
- ტურიზმის განვითარებისა და ტურისტული მომსახურების მომხმარებელთა უფლებების დაცვის მარეგულირებელი ეროვნული საკკანონმდებლო და ნორმატიული აქტების შექმნა და დანერგვა;
- ქვეყანაში შესვლისა და ქვეყნიდან გასვლის დროს საავიზო და საპასპორტო შეზღუდვების შემცირება;
- სხვადასხვა შეღვათებით არასეზონური ტურიზმის წახალისება;
- სოციალური ტურიზმისათვის ხელის შეწყობა და განვითარება;
- ტურისტების უსაფრთხოებაზე მოთხოვნათა გაზრდა;
- სახელწიფოს მიერ გარემოს დასაცავად კულტურული და ისტორიული მემკვიდრების ღირებულებების შესანარჩუნებლად ჩასატარებელი ღონისძიებების შეემუშავება

1999 წლის 1 ოქტომბერს, მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე, ქ. სანტიაგოში (ჩილე) მიღებულ იქნა „ტურიზმის გლობალური ეთიკური კოდექსი“. ეს დოკუმენტი ემყარება ამჟამად მოქმედი კოდექსების იდეებს და აყალიბებს მსოფლიო ტურიზმის მდგრადი განვითარების ორიენტირებს.

1997 1999 წლებში, საქართველოში დარგის სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზნით მიღებულ იქნა შემდეგი კანონები და ნორმატიული აქტები:

1. 1997 წლის 6 მარტი - საქართველოს კანონი „ ტურიზმისა და კურორტების შესახებ „.
   სრულყოფის მიზნით, 1997 – 2000 წლწბში კანონში ოთხჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები და დამატებები, რომელიც დარგის განვითარებისათვის მთელ რიგ მნიშვნელოვან მომენტებს ითვალისწინებდა. მაგ. რეგიონული მმართველობის როლების შექმნას, კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონებში მიწის სარგებლობაში გადაცემისა და გასხვისების რეგულირებას და სხვა.
2. 1998 წლის მარტი - საქართველოს კანონი „ კურორტებისა და ადგილებისა სანიტარული დაცვის ზონების შესახებ „ .
3. 1998 წლის 20 მარტი - საქართველოს კანონი „ საქართველოში შემოსულ და საქართველოდან გასული ტურისტების აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ „. ეს კანონი ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან იგი ტუისტების აღრიცხვიანობის მეტად აქტუალურ პრობლემას არეგულირებს.

იმის გამო, რომ ტურიზმი მჭიდრო კავშირშია მეურნეობის მრავალ სხვა დარგთან, მისი განვითარებისა და მართვისათვის დიდი მნიშვნებობა აქვს სხვა

მოიჯნავე დარგების საკანონმდებლო ბაზას. ეს პირველ რიგში ეხება რეგიონული ტურისტული და საკურორტო ცენტრების ზონებად დაყოფას, მიწითსარგებლობის კონტროლს და ტურისტულ რეგიონებში მშენებლობასთან დაკავშირებული ნორმების განსაზღვრას.

ტურიზმისთვის ასევე მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი კანონმდებლობა, განსაკუთრებით კი დაცულ ტერიტორიებთან და ეროვნულ პარკებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა. ასევე ტურიზმის განვითარების საქმეში დიდი როლი ენიჭება, საგადასახადო კანონმდებლობას და სამოქალაქო კოდექსს.

1.2 ტურიზმის მენეჯმენტის სისტემა და ტურისტული პროდუქტის მენეჯმენტი

ტურიზმის გლობალურმა განვითარებამ, ტურისტული მარშრუტებისა და კავშირების სახელმწიფოთა ეროვნულ საზღვრებს მიღმა ფართო გავრცელებამ, ტურიზმის საერთასორისო ტურისტულ ინდუსტრიად გადაქცევამ საჭირო გახადა ტურისტული საქმიანობის საერთაშორისო მართვა და რეგულირება.

ამ მიზნით შეიქმნა და იქმნება საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციები, რომლებიც გლობალური მასშტაბით განსაზღვრავენ ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების მთავარ მიმართულებებს, აყალიბებენ ტურისტული საქმიანობის ფუძემდებლურ პრინციპებს, ადგენენ საერთასორისო ნორმებსა და სტანდარტებს, ხელს უწყობენ ქვეყნების ტურიზმის სფეროში თანამშრომლობას.

დღეს უკვე მსოფლიოში 200-ზე მეტი სხვადასხვა დონისა და პროფილის საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაცია არსებობს. ესენია ასოცოაციები, ასოციაცია ჯგუფები, კავშირები, ფედერაციები, კომიტეტები, ბიუროები, კომისიები, საბჭოები, ცენტრები და ინსტიტუტები.

საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციები, გლობალური მასშტაბით, ასეთი სტრუქტურისაა:

1. ზოგადი ხასიათის მსოფლიო ორგანიზაციები;
2. დარგობრივი ხასიათის მსოფლიო ორგანიზაციები;

3. ზოგადი ხასიათის რეგიონული ორგანიზაციები;
4. დარგობრივი ხასიათის რეგიონალური ორგანიზაციები;
5. სპეციალიზებული ორგანიზაციები;
6. განსაკუთრებული ორგანიზაციები.

ზოგადი ხასიათის მსოფლიო საერთაშორისო ტურისტულ ორგანიზაციებს მიეკუთვნებიან: ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია (WORLD TOURISM ORGANIZATION - WTO), შეიქმნა 1975 წელს წესდების მიღების საფუძველზე. იგი 1925 წელს დაარსებული მთავრობათაშორისი ორგანიზაციის - „ტურიზმის პროპაგანდის ორგანიზაციის“ სამართალმემკვიდრეა. იგი ავტონომიური ორგანიზაციაა, რომელიც საქმიანობს WTO – S და გაეროს შორის თანამშრომლობის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ის გვევლინება ორგანიზაცციად, რომელსაც აქვს პასუხისმგებლობის და ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოს ფუნქცია ტურიზმის სფეროში. იგი ერთადერთი მთავრობათშორისი ორგანიზაციაა, რომელიც მუშობს ტურიზმის ყველა ასპექტზე მთელ მსოფლიოში. WTO – ს წევრები სამ ატეგორიად იყოფიან: I - სრულუფლებიანი წევრი სახელმწიფოები, რომელთა რიცხვიც 130 - ს აღწევს; II - ასოცირებული წევრები (4), რომლებიც სხვა ქვეყნების ტერიტორიებად ითვლებიან, მაგრამ აქვთ ინდივიდუალურდ საგარეო პოლიტიკის წარმართვის შესაძლებლობა; III - მიერთებული წევრები (329) - ტურიზმის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო და მთავრობათშორისი ორგანიზაციები, ასევე კომერციული ორგანიზაციები და ასოციაციები; სასტუმროები, ტურისტული სააგენტოები, რესტორნები, საფინანსო ინსტიტუტები, ავიაკომპანიები, მწარმოებლები, კადრების გადამზადების ცენტრები ტურიზმის სფეროში, კვლევითი ინსტიტუტები, გამომცელობები და ა.შ.

WTO - ს მიზნებია:

- ტურიზმის განვითარებაზე ზემოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას;
- ტურიზმის სფეროში განვითარებადი ქვეყნების ინტერესების დაცვა;
- ტურისტული მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით ტექნიკური დახმარების გაწევა.

WTO - ს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- წევრი ქვეყნებისა და ორგანიზაციებისათვის ტურიზმის სფეროში საკონსულტაციო დახმარების გაწევა;
- ტურიზმის სფეროში რეგიონული თანამშრომლობის განხორციელებაზე ზემოქმედება;
- გარემოს დაცვის სფეროზე ზემოქმედება;

- ტურისტული მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით ტექნიკური თანამშრომლობა;
- კადრების მომზადებაზე ზემოქმედება;
- საინფორმაციო საქმიანობის განხორციელება. WTO-ს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს საერთაშორისო ტურიზმის სტატისტიკური კვლევები, პროგნოზები, მარკეტინგული საქმიანობა. ეს ინფორმაცია ძალიან მნიშვნელოვანია ეროვნული ტურისტული ორგანიზაციების საქმიანობა. WTO რეგულარულად წარმოადგენს მსსოფლიოში ტურიზმის მდგომარეობის ანგარიშს, რომელშიც ასახულია როგორც მიღწევები, ასევე, პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან ტურიზმის განვითარებას.

WTO-ს საქმიანობის ძირითადი ამოცანებია:

- ურთიერთთანამშრომლობა განვითარებისთვის (ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება და გაფართოება ტურიზმის სფეროში მსოფლიო რეგიონებისა და ქვეყნების განვითარების მიზნით);
- ადამიანური რესურსების განვითარება (ტურიზმის სფეროსთვის კადრების პროფესიული მომზადებისა და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა);
- გარემო და დაგეგმვა (გარემოს რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის ზომების შემუშავება, რეალიზაცია და დაგეგმვა);
- ტურიზმის განვითარების ხარისხი (ტურისტული მომსახურების ხარისხის ამაღლება და სერვისის უსაფრთხოების უზრუნველყოფა);
- სტატისტიკა და მარკეტინგული კვლევები (ტურისტული ბაზრის შესწავლა. სტატისტიკური მონაცემების შეკრება, სისტემატიზაცია და ანალიზი; მსოფლიოში ტურიზმის განვითარების პროგნოზები);
- კომუნიკაცია და დოკუმენტაცია (ტურიზმის განვითარებაში მონაწილე ქვეყნებს და რეგიონებს შორის კავშირების უზრუნველყოფა, ტურისტული დოკუმენტაციის შევსება და გავრცელება).

უნდა აღინიშნოს, რომ ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის დაფუძნება საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესი აღმოჩნდა. ამ მხრივ ნაბიჯი ჯერ კიდევ 20-იან წლებში გადაიდგა, როცა 1925 წელს მოწვეულ იქნა ტურიზმის ტრანსპორტით მომსახურების სფეროს ოფიციალური ასოციაციების საერთაშორისო კონგრესი. ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია ჩამოყალიბდა, როგორც გაერთიანებული ერების სპეციალიზებული სააგენტო და წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაცია ტურიზმის სფეროში. ის საქმიანობს როგორც ტურისტული პოლიტიკის გლობალური ფორუმი და არის ტურისტული ნოუ-ჰაუს პრაქტიკული წყარო. იგი გადამწყვეტ როლს თამაშობს განვითარებად ქვეყნებში ტურიზმის განვითარებაში. WTO ადგენს გლობალური ეთიკის ნორმებს, რათა დაიცვას წევრი ქვეყნების ინტერესები და ნეგატიური სოციალური ზემოქმედების მინიმალიზაციის პირობებში, დაეხმაროს ბიზნესს პოზიტიური ეკონომიკისთვის, სოციალური და კულტურული ეფექტის

მაქსიმალიზაციისათვის.ორგანიზაციის ოფიციალური ენებია: ინგლისური, ფრანგული, ესპანური და რუსული. შტაბი მდებარეობს მადრიდში, ესპანეთში. ორგანიზაციის შტაბი ნებისმიერ დროს შეიძლება შეიცვალოს და სხვა ადგილას გადავიდეს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით. ორგანიზაციის წევრები იყოფიან შემდეგ კატეგორიებად:
1)სრული წევრები:

ორგანიზაციის სრული წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი დამოუკიდებელი სახელმწიფო;

სახელმწიფოები, რომლებიც იყვნენ IUOTO-ს სრული წევრები, უფლებამოსილნი არიან გახდნენ WTO-ს სრული წევრები, თუკი ეთანხმებიან ორგანიზაციის წესებს და წევრობის პირობებს;

სხვა სახელმწიფოებს აქვთ საშუალება გახდნენ სრული წევრები ხმის მიცემის საშუალებით, ორგანიზაციის სრული წევრების უმრავლესობის თანხმობით.

2)ასოცირებული წევრები:

ასოცირებული წევრები შეიძლება იყვნენ ნებისმიერი ტერიტორიები ან ტერიტორიების ჯგუფები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან თავიანთ საგარეო ურთიერთობებზე;

ტერიტორიები ან ტერიტორიათა ჯგუფები, რომელთა ნაციონალური ტურისტული ორგანიზაციები იყვნენ IUOTO-ს სრული წევრები იმ პერიოდში, როდესაც მოხდა WTO-დ გადაკეთება, შესაძლებლობა აქვთ გახდნენ ასოცირებული წევრები, მოთხოვნის გარეშე, თუკი აკმაყოფილებთ ორგანიზაციის მიზნები და წევრობის პირობები;

ტერიტორიები და ტერიტორიათა ჯგუფები შეიძლება გახდნენ ასოცირებული წევრები, იმ შემთხვევაში, თუკი მათი კანდიდატურა მოწონებული იქნება იმ წევრების მიერ, რომელთაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა საგარეო ურთიერთობებში და თუკი მათ აკმაყოფილებთ ორგანიზაციის მიზნები და წევრობის პირობები. ასეთი კანდიდატურები დამტკიცებული იქნება გენერალური ასამბლეის დამსწრე სრული წევრების 2/3-ის ხმათა უმრავლესობით.

3)მიერთებული წევრები:

მიერთებული წევრები შეიძლება იყვნენ საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც იჩენენ განსაკუთრებულ ინტერესს ტურიზმის სფეროს მიმართ, ან კომერციული ტურისტული დაწესებულებები და ასოციაციები, რომელთაც აქვთ რამენაირი კავშირი ორგანიზაციის მიზნბთან და საქმიანობასთან;

IUOTO-ს ასოცირებულ წევრებს აქვთ საშუალება გახდნენ WTO-ს მიერთებული წევრები განცხადების გარეშე, თუკი მათ აკმაყოფილებთ წევრობის პირობები და ორგანიზაციის მიზნები;

სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს (როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო), რომლებიც იჩენენ ინტერესს ტურიზმის სფეროს მიმართ. შეუძლიათ გახდნენ ორგანიზაციის წევრები, თუკი მათი კანდიდატურა დააკმაყოფილებს გენერალური ასამბლეის დამსწრე სრული წევრების 2/3-ის უმრავლესობას და თუკი ორგანიზაციის მიზნები და პირობები მისაღებია მათთვის; კომერციული დაწესებულებები, რომელთა ინტერესები უკავშირდება ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციას შეიძლება გახდნენ ორგანიზაციის მიერთებული წევრები, თუკი მათი მოთხოვნა დადასტურებული იქნება იმ სახელმწიფოს მიერ, სადაც არის მათი შტაბი და მათ გაწევრიანებას ხმას მისცემს გენერალური ასამბლეის დამსწრე სრული წევრების 2/3 - ის უმრავლესობა და თუკი მათ აკმაყოფილებთ წევრობის პირობები; შესაძლოა შეიქმნას მიერთებული წევრების კომიტეტები, რომლებიც ჩამოაყალიბებენ თავიანთ წესებს გენერალური ასამბლეის დადასტურებით; მიერთებულ წევრებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეოყოველ 2 წელიწადში ბა, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად - კომიტეტების შექმნით. WTO - ს გენერალური ასამბლეა არის მტავარი ყრილობა. ის იმართება ყოველ 2 წელიწადში ერთხელ, რომ დაამტკიცოს ბიუჯეტი, შეიმუშაოს სხვადასხვა პროგრამები და იმსჯელოს ტურიზმის სექტორის არსებით თემებზე. ყოველ 4 წელიწადში ერთხელ, გენერალური ასამბლეა ირჩევს გენერალურ მდივანს, რომელსაც ევალება გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული პროგრამების და საქმიანობის განხორციელება. გენერალური ასამბლეა შედგება სრული და ასოცირებული წევრებისგან, შემოერთებული წევრები და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები მონაწილეობას იღებენ დამკვირვებლად. გენერალურ ასამბლეას შეუძლია შეიმუშავოს პროცედურის საკუთარი წესები. მას შეუძლია მხედველობაში მიიღოს წევრების ნებისმიერი შეკითხვა და შეთავაზება, წევრი ქვეყნის სტატუსის მიუხედავად.

გენერალური ასამბლეის ფუნქციებია:

- აირჩიოს პრეზიდენტი და ვიცეპრეზიდენტი;
- აირჩიოს საბჭოს წევრები;
- მოაწესრიგოს გენერალური სამდივნოს საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების მიხედვით;
- მოაწესრიგოს, ორგანიზაციის ფინანსური რეგულირება;
- შეადგინოს ძირითადი სახელმძღვანელო (პროტოკოლი) ორგანიზაციის ადმინისტრაციისათვის;
- სამდივნოსთვის ჩამოაყალიბოს, შექმნას მარეგულირებელი შტატი;
- შეარჩიოს კონტროლიორები საბჭოს რეკომენდაციებისათვის;

- ჩამოაყალიბოს ორგანიზაციის ძირითადი პროგრამა;
- ყურადღება მიაქციოს ორგანიზაციის ფინანსურ პოლიტიკას და დაამტკიცოს ბიუჯეტი;
- დაიახლოვოს ნებისმიერი ტექნიკური და რეგიონალური ორგანიზაცია, რომელთანაც შეიძლება თანამშრომლობა მომავალში;
- მხედველობაში მიიღოს ყველა ანგარიშის შედეგები ორგანიზაციის და მისი ორგანოების შესახებ და მოახდინოს მასზე შესაბამისი რეაგირება;
- ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ მიაღწიოს ურთიერთშეთანხმებას მთავრობასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ასევე, ყველანაირი ძალღონე უნდა იხმაროს კერძო ორგანიზაციებთან კარგი ურთიერთობების დასამყარებლად;
- გადაწყვიტოს ორგანიზაციის წევთა რაოდენობა და ორგანიზაციის სტატუსი.

გენერალურ ასამბლეას ჰყავს სამდივნო. სამდივნოს უძღვება გენერალური მდივანი. გენერალური მდივანი ირჩევა ასამბლეის დამსწრე სრული წევრების უმრავლესობით 4 წლის ვადით და საბჭოს რეკომენდაციით. რეგიონალური კომისიები WTO თავის საქმიანობას მსოფლიოს რეგიონებში თავისი წარმომადგენლობების მეშვეობით ახორციელებს. WTO-ს ჰყავს რეგიონალური კომისია, აფრიკის, ევროპის, წყნარი ოკეანის, აღმოსავლეთ აზიის, შუა აზიისა და სამხრეთ აზიის. შეხვედრები იმართება წელიწადში ერთხელ. რეგიონალური წარმომადგენლები ხვდებიან თავიანთი რეგიონების ტურიზმის დარგის წარმომადგენლებს, იმისათვის რომ გამოავლინონ, გააანალიზონ და მონახონ გზები ტურიზმის განვითარების პერიოდში წარმოშობილი პრობლემების აღმოსაფხვრელად. რეგიონალური კომისიები მონაწილეობას იღებენ ტურისტული პროექტების შემუშავებაში, ორგანიზებას უკეთებენ პრაქტიკულ სემინარებსს ხვადასხვა საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციები. რეგიონალური კომისიები შედგება მოცემული რეგიონის სრული და ასოცირებული წევრებისაგან. მიერთებული წევრები ასრულებენ დამკვირვებლის ფუნქციებს. რეგიონალური კომისიები ჩამოყალიბდა 1975 წელს, როგორც გენერალური ასამბლეის ფილიალები. WTO-ს სპეციალური კომიტეტები, ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს კონსულტაციებს უწევენ მენეჯმენტში და პროგრამების შინაარსში. იგი მოიცავს:

პროგრამების, ბიუჯეტის და ფინანსების, სტატისტიკის და ტურიზმის მაკროეკონომიკური ანალიზის, საბაზრო ინფორმაციის მიწოდებასა და დახმარების, ტურიზმის განვითარების, ხარისხისა და ვაჭრობის, WTO-ს საგანმანათლებლო და ბიზნეს საბჭოს და ტურიზმის ეთიკის კომიტეტებს.

ორგანიზაციის ბიუჯეტი, რომელიც საჭიროა ადმინისტრაციული ფუნქციონირებისათვის და ძირითადი პროგრამების განხორციელებისათვის, ფინანსდება სრული, ასოცირებული და მიერთებული წევრების შენატანებით, აგრეთვე, სხვა შესაძლო წყაროებიდან, რომლებსაც ითვალისწინებს ფინანსური წესები. ბიუჯეტი მზადდება გენერალური სამდივნოს მიერ და გადაეცემა საბჭოს და გენერალურ ასამბლეას დასამტკიცებლად. ანგარიშები განიხილება 2 დამკვირვებლის მიერ,

რომლებიც 2 წლით არიან არჩეულნი გენერალური ასამბლეის მიერ და საბჭოსგან რეკომენდაცია აქვთ მიღებული. კონტროლიორებიის არჩევა შესაძლებელია მეორე ვადითაც. იმისათვის, რომ კონტროლიორებმა მოახდინონ ანგარიშების ეფექტიანი შემოწმება, უნდა გაითვალისწინონ ფინანსური პროცედურები და მენეჯმენტი, საერთაშორისო ფინანსური რეგულირება და ძირითადი ფინნსური შეხედულებები ადმინისტრაციული პრაქტიკიდან. ბიუჯეტი ფორმულირებული უნდა იყოს აშშ დოლარებში. საწევრო შეიძლება იქნას შეტანილი აშშ დოლარში ან სხვა ვალუტებში, ასამბლეის გადაწყვეტილებით. ორგანიზაციის წევრებმა საწევროები უნდა შეიტანონ ფინანსური წლის დასაწყისში.

საერთაშორისო ორგანიზაციებია: გაეღთიანებული ერების მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია, მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭო, SKALINTERNATIONAL- ი, საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაცია, საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაცია, ტურიზმის მეშვეობით მშვიდობის დამყარების საერთაშორისო ინსტიტუტები და ა.შ.

გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია (UNITED NATONS WORLD TOURISM ORGANIZATION – UNWTO) არის გაეროს ოფიციალური სპეციალიზირებული სააგენტო, რომლის მიზანია ტურიზმის მხარდაჭერა და განვითარება მთელ მსოფლიოში.

დღეისათვის გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია არის ყველაზე ცნობილი და ლიდერი ორგანიზაცია მოგზაურობისა და ტურიზმის სფეროში. ის ასრულებს გლობალური ფორუმის როლს ტურიზმის პოლიტიკის საკითხებში, უზრუნველყოფს ფართო საერთაშორისო ტურისტული სექტორის ხელმძღვანელობას და არის ტურიზმის გამოცდილებ ის პრაქტიკული წყარო მისი წევრებისთვის. მასში გაწევრიანებულია 154 ქვეყანა, 400-ზე მეტი ფილიალური წევრი, რომლებიც წარმოადგენენ ადგილობრივ მთავრობებს, ტურიზმის ასოციაციებს, საგანმანათლებლო ინსტიტუტებსა და კერძო სექტორის კომპანიებს (ავიახაზები, სასტუმროთა ჯგუფები, ტუროპერატორები). გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია არის გაეროს (UNITED NATIONS - UN) სპეციალიზებული სააგენტო, რომლის მთავარი შტაბი მდებარეობს მადრიდში. გაეროს სპეციალიზებული სააგენტოს სტატუსიდან გამომდინარე, გაეროს ტურისტული ორგანიზაცია მონაწილეობა იღებს კოორდინირების აღმასრულებელი საბჭოს (CEB – CHIEF EXECUTIVE BOARD OF COORDINATION) სისტემაში, როგორც სრულყოფილი წევრი. CEB შეიმუშავებს საერთო სისტემურ სტრატეგიებს შიდა - სამთავრობო დირექტივების საპასუხო ეკონომიკურ თანამშრომლობასა და განვითარებას. გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მონაწილეობა შესაძლებელს ხდის ტურიზმის როლის წინა პლანზე წამოწევას სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევის საკითხებში.

სპეციალიზებული სააგენტოები ფუნქციონირებენ ავტონომიურ საფუძველზე, თავიანთი შეკვეთებით, ბიუჯეტით, ხელმძღვანელობით, თანამშრომლებითა და საგამომცემლო ოპერაციებით. ისინი აბარებენ წლიურ და ორი წლის ანგარიშს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს. გენერალურ ასამბლეას შეუძლია შეამოწმოს მათი ბიუჯეტი და გაუწიოს რეკომენდაციები. თუმცა ყველა სპეციალიზებული სააგენტო დასკვნით კონტროლს თავად უწევს საკუთარ საქმიანობას.

ამგვარად, გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია გაეროსგან სრულიად დამოუკიდებლად ასრულებს თავის ცენტრალურ და გადამწყვეტ საპასუხისმგებლო როლს სიცოცხლისუნარიანი და საყოველთაოდ მისაღები ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის საქმეში, მისი მიზანია ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანა, მშვიდობისა და კეთილდღეობისთვის ზრუნვა, საერთაშორისო პატივისცემა, ადამიანის უფლებების დაცვა და ფუნდამენტური თავისუფლებების უზრუნველყოფა. ამ მიზნის მისაღწევად, გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს განვითარებადი ქვეყნების ინტერესებს ტურიზმის სფეროში.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია ეწევა მრავალმხრივ მოღვაწეობას. ტურისტული ნოუ-ჰაუს გადაცემა განვითარებად ქვეყნებზე მისი მთავარი მიზანია. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია ათწლეულების შედეგად მიღებულ გამოცდილებას მსოფლიოს ქვეყნების მდგრადი განვითარების მიზნებისთვის იყენებს. გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის პროექტები ემყარება მდგრადი განვითარების პოლიტიკას, ამავდროულად, ითვალისწინებს იმასაც, რომ ტურიზმის განვითრების ეკონომიკურმა სარგებელმა არ შეუქმნას საფრთხე გარემოს ან ადგილობრივ კულტურას.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია (UNWTO) ცნობილია თავისი სტატისტიკური ანალიზითა და მარკეტინგული კვლევებით. მარკეტინგული კვლევები არის მისი განსაკუთრებული წვლილი ტურიზმის განვითარებაში. ამ სფეროში მუშაობის შედეგად, ორგანიზაციამ დააწესა ტურიზმის აღრიცხვისა და ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტები, დაადგინა ტურიზმის გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე, წარმოადგინა პროგნოზები და გამოაქვეყნა შედეგები (WWW.NPLG.GOV.GE)

მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭო (WORLD TRAVEL AND TOURISM COUNCIL – WTTC) - მსოფლიო ტურიზმისა და მოგზაურობის ბიზნესის ლიდერთა ფორუმია. ის აერთიანებს მსოფლიოს 100 მოწინავე კომპანიის პრეზიდენტებს, თავმჯდომარეებსა და აღმასრულებელ დირექტორებს. ეს კომპანიები ეწევიან განთავსების, კვების, საკრუიზო, გასართობ, ტრანსპორტირებისა და მოგზაურობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მომსახურებას. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭო (WTTC) არის ერთადერთი ორგანო, რომელიც

წარმოადგენს კერძო სექტორს მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრიის ყველა სეგმენტში.

ის დაარსდა 1990 წელს და იმართება 19 წევრისგან შემდგარი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, რომელიც იკრიბება წელიწადში ორჯერ და ანგარიშვალდებულია თითოეული წევრის ყოველწლიურ შეხვედრაზე. ყოველდღიურ საქმიანობებს ახორციელებს პრეზიდენტი და მისი მცირერიცხოვანი პერსონალი ლონდონიდან. საბჭოს მიზანია აამაღლოს მოგზაურობისა და ტურიზმის ეკონომიკური და სოციალური წვლილის გაცნობიერებულობა, იმუშაოს მთავრობებთან იმ პოლიტიკაზე, რომელიც გზას გაუხსნის ინდუსტრიის პოტენციალს სამუშაო ადგილების შესაქმნელად და სიმდიდრის დასაგროვებლად. მათი ხედვის თანახმად, საჭიროა პარტნიორობა დაინტერესებულ პირთა შორის რატა ბიზნესის თანამდევი შედეგები შეესაბამებოდეს ეროვნული ეკონომიკის, ხელისუფლების ადგილობრივი და რეგიონული, ასევე ადგილობრივი თემების საჭიროებებს შემდეგი პირობებით:

ხელისუფლებამ უპირველეს პრიორიტეტად უნდა აღიაროს მოგზაურობა და ტურიზმი; ბიზნესის ეკონომიკური დაბალანსება ხალხთან, კულტურასთან და გარემოსთან; ერთობლივი სვლა ხანგრძლივი ზრდისა და აყვავებისაკენ.

SKAL INTERNATIONAL - ეს არის მსოფლიოს მასშტაბით ტურიზმის ლიდერების პროფესიონალური ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება მსოფლიო ტურიზმს და მსოფლიოს ქვეყნებს შორის მეგობრობას. იგი დაარსდა 1934 წელს საერთაშორისო ასოციაციის სტატუსით, ჰყავს დაახლოებით 20000 წევრი 480 ადგოლზე, მსოფლიოს 89 ქვეყანაში. ის არის გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ფილიალური წევრი და მხარს უჭერს პასუხისმგებლიანი, მდგრადი და უნივერსალურად ხელმისაწვდომი ტურიზმის განვითარებას. SKAL INTERNATIONAL - მა მიიღო ტურიზმის ეთიკის გლობალური კოდექსი. SKAL INTERNATIONAL არის ტურიზმის ინდუსტრიის მძლავრი ძალა, რომელიც გამოიწვევს ცვლილებებს და ხელს შეუწყობს გარემოს კონსერვაციას ტურიზმის განვითრებისთვის.

საჰერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაცია INTERNATIONAL AIR TRANSPORT ASOTIATION – IATA. აერთიანებს უკლებლივ ყველა საერთაშორისო საჰაერო გადამზიდს. დაახლოებით, 230 ავიაკომპანიას, რომლებიც შეადგენენ რეგულარული საეღტაშორისო საჰაერო მოძრაობის 93% - ს. IATA - ს უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს მსოფლიოს რომელიმე წერტილიდან სხვა ნებისმიერ წერტილში ნებისმიერი მარშრუტით მგავრებისა და ტვირთის უსაფრთხო გადაყვანა / გადატანას.

საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაცია (INTERNATIONAL CIVIL AVIATION ORGANIZATION – ICAO) - გაეროს სპეციალიზებული სააგენტო - არის სამოქალაქო ავიაციის გლობალური ფორუმი. ორგანიზაცია დაარსდა 1944

წელს. ICAO მუშაობს უსაფრთხოების, საიმედო და მდგრადად განვითარებადი ხედვის მისაღწევად თავის წევრებთან თანამშრომლობით.

ტურიზმის მეშვეობით მშვიდობის დამყარების ინსტიტუტი (INTERNATIONAL INSTITUTE FOR PEACE THROUGH TOURISM TOURISM – IIPT) არის არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს ტურიზმის იმ ინიციატივებს, რომლებსაც წვლილი შეაქვს საერთაშორისო ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობაში, გარემოს ხარისხის გაუმჯობესებაში, მემკვიდრეობის დაცვასა და შენახვაში და ამ ინიციატივების მეშვეობით ხელს უწყობს მშვიდობიანი და მდგრადი მსოფლიოს ჩამოყალიბებას.

სხვადასხვა პროფილის ტურიზმის სფერო განსაკუთრებულ ორგანიზაციათა ჯგუფს მიეკუთვნება, ორგანიზაციები სპეციფიკური ფუნქციებით, რომლებიც პასუხს აგებენ: ტურისტული ინფორმაციების სფეროში თანამშრომლობაზე, ერეგულირებენ პროფესიულ ტურისტულ განათლებას, ხელს უწყობემ საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას. ამ ჯგუფს მიეკუთვნება ტურიზმის სფეროში მოღვაწე მწერალთა და ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია (მუსფ), ტურიზმისა და კულტურის სფეროში დოკუმენტაციისა და ინფორმაციის საერთაშორისო ასოციაცია (დისა), გიდების საერთაშორისო კლუბი (გსკ) და სხვა.

ზოგადი ხასიათის მსოფლიო საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციების მიზნებსა და ამოცანებს წარმოადგენს - მსოფლიო ტურიზმის განვითარების მიმართულებების განსაზღვრა, ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ეროვნული ტურიზმის განვითარებისათვის პრაქტიკული მხარდაჭერა.

ბევრი ორგანიზაცია სამთავრობათშორისოა, რაც ტურიზმის განვითარების პრობლემათა გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სამინისტროებისა და სახელმწიფო უწყებების დონეზე, ხოლო საერთაშორისო ინიციატივები სახელმწიფოთა პოლიტიკაზე აისახება.

ტურიზმის სისტემის საფუძველია ორი სუბსისტემა: ტურიზმის სუბიექტი და ტურიზმის ობიექტი.

ტურიზმის სუბიექტად მოიაზრება ტურისტული ღონისძიებების მონაწილე, ანუ ტურისტი, რომელიც ეძებს თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობებს ტურისტული მომსახურების მიღების გზით და ტურისტული მომსახურება წარმოადგენს ტურიზმის ობიექტს.

ტურიზმის სტრუქტურა არსებობს საზოგადოებრივ გარემოცვაში, რომელიც წარმოდგენილია ეკონომიკით, ეკოლოგიით, ტექნოლოგიებით, პოლიტიკითა და სოციალური სისტემებით. ტურიზმის გარე გარემოზე დამოკიდებულება მისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დამახასიათებელი თავისებურებაა.

ტურიზმის სისტემა იყოფა ორ სუბსისტემად: ტურიზმის მენეჯმენტის სუბიექტი და ტურიზმის მენეჯმენტის ობიექტი.

გარე ფაქტორების განხილვისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, რომ ეს გავლენა ყველგან არ არის ერთნაირი. მენეჯმენტმა უნდა

გამოავლინოს გარე ზემოქმედების ყველაზე არსებითი ფაქტორები და შეიმუშაოს მათზე რეაგირების ეფექტიანი ხერხები.

ტურიზმზე დადებითად მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები:

- რეალური შემოსავლების ზრდა და მისი უფრო თანაბარზომიერი განაწილება;
- ვალუტის სტაბილური მდგომარეობა;
- ხელსაყრელი კონიუქტურული სიტუაცია;

ტურიზმზე უარყოფითად მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები:

- კრიზისული ეკონომიკური მოვლენები;
- წარმოების დაცემა (უმუშევრობის ზრდა, ხელფასის შემცირება, დროებითი მუშაობა);
- ვალუტის არასტაბილურობა და არაკონიუქტურული სიტუაცია.

ეკონომიკაზე ტურიზმის ზემოქმედების განხილვასთან დაკავშირებით გამოყოფენ ტურიზმის ხუთ ეკონომიკურ ფუნქციას:

- საწარმოო ფუნქციები (შრომა, მიწა და კაპიტალი);
- მოსახლეობის დასაქმება;
- შემოსავლების შექმნა;
- შერბილების ფუნქცია;
- საგადამხდელო ბალანსის ნიველირების ფუნქცია.

ნებისმიერი პროფილის საწარმო ასრულებს იმ ფუნქციას, რომლის დროსაც ხდება ღირებულებათა დაგროვება. ასევე ტურისტული მომსახურების სფეროს საწარმოებიც ქმნიან ახალ პროდუქტებს და ხელს უწყობენ ღირებულებათა დაგროვებას. უმრავლეს შემთხვევაში ტურისტულ პროდუქტებს გააჩნიათ არამატერიალური საქონლის სახე, რადგან ისინი წარმოადგენენ მომსახურეობას. ამ მომსახურეობისათვის კი საჭიროა პერსონალი (მუშკები). ამიტომ ტურიზმის მეორე მნიშვნელოვანი ფუნქცია მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფაა. ამდენად, ტურისტულ ბიზნესში დასაქმების უზრუნველყოფა მჭიდრო კავშირშია შემოსავლის შექმნის ფუნქციასთან.

შერბილების ფუნქცია - ტურისტებს აინტერესებთ რეგიონები სუსტად განვითარებული მრეწველობით, რომლებიც ხასიათდებიან ეკოლოგიურად სუფთა ლანდსაფტებით და გარემოთი. უმრავლეს შემთხვევაში ასეთი რეგიონებია განვითარებული სოფლის მეურნეობით, ეს კი ხელს უწყობს მათოი შემოსავლების გამოთანაბრებას, რადგან ეს შემოსავლები ხშირად უფრო მცირეა, ვიდრე რეგიონები, სადაც განვითრებული მრეწველობით ხასიათდებიან.

საგადამხდელო ბალანსი - მომსახურების ბალანსის შეემადგენელი ნაწილია მოგზაურობათა ბალანსი ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ. ამ ბალანსში ადგილობრივი ტურისტების ხარჯები, რომლებიც მიემგზავრებიან საზღვარგარეთ, უპირისპირდება შემოსავლებას, რომლებიც მიღებულია ტურისტების მიერ

მოხმარებული საქონლიდან და მომსახურებიდან.

ტურიზმი, როგორც მომსახურების სფეროს ერთ-ერთი დარგი არა მარტო ეკონომიკისა და ბიზნესის მნიშვნელოვანი სფეროა, არამედ იგი არის რთული ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც განსაზღვრავს შრომითი კოლექტივებისა და ცალკეული მუშაკების ადგილს, როგორც რეგიონებში, ასევე ორგანიზაციებსა და საწარმოებსი. ტურიზმის მართვის სტრუქტურა გაგებულ უნდა იყოს როგორც მოწესრიგებული ურთიერთდაკავშირებული ფუნქციების ერთობლიობა. არსებიტად საქმე ეხება მართვის დონეებსა და ფუნქციური სამსახურების ურთიერთდამოკიდებულებას, რომლებიც მენეჯმენტის დახმარებით მყარდება ერთმანეთთან.

ტურიზმის მენეჯმენტის სტრუქტურა ნიშნავს კვალიფიციური კადრების (სპეციალისტების), მათი უფლებებისა და პასუხისმგებლობების ოპტიმალურ განაწილებას ცალკეულ ქვედანაყოფებს შორის. ორგანიზაციის მენეჯმენტის სტრუქტურაში გამოიყოფა მართვის ქვედანაყოფები (განყოფილებები), დონეები (საფეხურები) და კავშირები (ჰორიზონტალური და ვერტიკალური).

სტრუქტურულ ქვედანაყოფებს მიეკუთვნება აგრეთვე მენეჯერებიც, რომლებიც ახორციელებენ თანამშრომელთა საქმიანობის კოორდიანციას.

მართვის დონის ცნებაში იგულისხმება ქვედანაყოფების ერთობლიობა, რომლებიც იკავებენ განსაზღვრულ საფეხურს ორგანიზაციის მენეჯმენტის სისტემაში. მენეჯმენტის საფეხურები იმყოფებიან ვერტიკალურ დამოკიდებულებაში და ექვემდებარებიან ერთმანეთს იერარქიის მიხედვით: უფრო მაღალი საფეხურის მენეჯერები ღებულობენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც კონკრეტდება და დაიყვანება ქვემდგომ რგოლებამდე. ცალკეული მენეჯერები ახდენენ მუშობის კოორდინირებას, რომლებიც თავის მხრივ კოორდინირებას უწევენ უფრო დაბალი დონის მენეჯერებს, შრომის ასეთი ვერტიკალური დანაწილების შედეგად იქმნება მართვის დონეები.

ორგანიზაციის მართვის უმაღლესი დონე შეიძლება წარმოდგენილ იყოს დირექტორთა საბჭოს (მეთვალყურეთა საბჭოს) თავმჯდომარის, პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის ან დირექტორის სახით. ამ დონის მენეჯერები შეიმუშვებენ ორგანიზაციის პოლიტიკაას (სტრატეგიას) და ახდენენ მის რეალიზაციას

უმაღლეს დონეზე გამოყოფენ ორ ქვედანაყოფს: სრულუფლებიანი მართვა და საერთო ხელმძღვანელობა.

მართვის ყველა დონეზე მენეჯერები ასრულებენ არამარტო წმინდა მმართველობით ანუ სამმართველო, არამედ საშემსრულებლო ფუნქციებსაც. მაგრამ უმაღლეს დონეზე საშემსრულებლო ფუნქციების ხვედრითი წონა მინიმალურია.

რურისტული ინდუსტრიის მენეჯმენტი - სასტუმროების ან სხვა განთავსების ადგილების, სატრანსპორტო საშუალებების, საზოგადოებრივი კვების, გართობის, შემეცნების, საქმიანი, გამაჯანსაღებელი, სპორტული და სხვა დანიშნულების

ობიექტების ერთობლიობის ორგანიზაციაა, რომლებიც ახორციელებენ ტუროპერატორულ ან ტურაგენტურ საქმიანობას, აგრეთვე ის ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან საექსკურსიო მომსახურებას გიდით ან თარჯომნებით ტურისტული ინდუსტრიის მენეჯმენტის დროს.

დღეს ტურისტული ინდუსტრია დამკვიდრდა არამარტო ტრადიციულ ტურისტულ ცენტრსი - ევროპაში, არამდე ავსტრალიაში, აფრიკაში, ამერიკისა და აზიის კონტინენტების ბევრ ქვეყნებში.

ტურისტული ინდუსტრია შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც სხვადასხვა სექტორებისაგან შედგენილი დარგთაშორისი კომპლექსი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტურინდუსტრია შედგება ძირითადი, დამატებითი და ე.წ. „საგარეუბნო“ სექტორებისაგან.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ საქართველოს დანარჩენ მსოფლიოსთან სურს ინტეგრაცია და მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მოთხოვნებთან ადაპტირება, მაშინ ქვეყანამ უნდა იხელმძღვანელოს მსოფლიო ტურისმიზ სტანდარტებითა და ნორმებით. ასეთი სტანდარტებისა და ნოირმების დამდგენმა კომისიამ შეიმუშავა ტურისტული მომსახურების სხვადასხვა სფეროების შემდეგი ფორმულირებები:

1. ტუროპერატორებისა და ტურაგენტების საქმიანობა;
2. სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურება, ავტომანქანების იჯარა და ექსკურსიისათვის ტრანსპორტის გამოყენება;
3. მიღების და კვების საშუალებები;
4. რეკრეაციული, კულტურული, სპორტული და სხვა გასართობი მომსახურება;
5. დამატებითი და დამხმარე მომსახურება: (გიდების მომსახურება, კონგრესების ორგანიზაცია, დაზღვევა, ტურიზმთან დაკავშირებული საფინანსო მომსახურება, საკრედიტო ბარათები, ტურისტული ჩეკები და დამხმარე სამსახურები, სამედიცინო მომსახურება, ტურისტული დანიშნულების საქონლით ვაჭრობა.).

1982 წელს ტურიზმის მსოფლიო კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ტურიზმი საქმიანობის ისეთი სახეა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მსოფლიოს ხალხთა ცხოვრებაში, რადგან ტურიზმის მეშვეობით ხდება უშუალო ზემოქმედება სახელმწიფოების ცხოვრებასა და საერთაშორისო ურთიერთობაზე, სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო და ეკონომიკის სფეროებზე.

ტურისტული ინდუსტრია ქმნის სამუშაო ადგილებს, ზრდის სემოსავლებსა და მოგებას, როგორც ეროვნული ისე უცხოური ვალუტით, ზრდის კაპიტალდაბანდებებს, ხელს უწყობს მსხვილი, სასუალო და მცირე ბიზნესის განვითარებას, განაპირობებს ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისოეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების განვითარებას.

საერთაშორისო ტურიზმი მსოფლიო ვაჭრობის წამყვან მიმართულებათაგან ერთ-ერთია.

ტურისტული ინდუსტრიის ძირითადი პროდუქტი ტურისტული მომსახურებაა, რომელთაგანაც უმნისვნელოვანესია: განთავსება, კვება, ტრანსპორტი და მიზნობრივი მომსახურება.

ტურისტული ინდუსტრიის სტრუქტურების ეფექტურობა შეიძლება განისაზღვროს ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა ხვედრითი წილით, დასაქმებულტა საერთო მაჩვენებელთან მიმართებასი. დასაქმებულების დიდი წილი მოდის განთავსების სასუალებებსა და რესტორნებზე, ტურისტთა მომსახურებაზე. დიდ ბრიტანეთში მთლიანად ტურ-ინდუსტრიის ყველა სექტორში დასაქმებულია მოსახლეობის 60%, გერმანიაში - 55%. მსოფლიოს სხვა განვითარებული ქვეყნებისათვსი ეს მაჩვენებლები მაღალია.

ტურიზმის მენეჯმენტის ფუნქცია ესაა მმართველობითი საქმიანობის კონკრეტული სახე, რომელიც ხორციელდება სპეციალური ხერხებითა და მეთოდებით. სამუშაოს შესაბამისი ორგანიზაციაც მართვის ფუნქციაა. ნიშანდობლივია, რომ ამა ტუ იმ, თუნდაც უბრალო სამუშაოს შესასრულებლად საჭიროა წინასწარ განვსაზღვროთ: რას უნდა მივაღწიოთ, როგორ მოვახდინოთ საქმის ორგანიზება, მოტივირება და მისი შესრულების კონტროლი. ეს კი სწორედ მართვის ფუნქციებია.

მართვის ფუნქციებს აქვთ სპეციფიკური ხასიათი, განსაკუთრებული შინაარსი და შეიძლება განხორციელდნენ დამოუკიდებლად და თვითნებურად. ასევე, ისინი შეიძლება ისე იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ მათი განცალკევება არ შეიძლებოდეს, ან პირიქით - საერთოდ არ იყვნენ დაკავშირებულნი.

მართვის ფუნქციები შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მმართველობითი საქმიანობის სახე, რომელიც გარკვეული ზემოქმედებით დაკავშირებულია მართვის ობიექტებთან. მართვის პროცესში სრულდება ოთხი ძირითადი ფუნქცია: დაგეგმვა, ორგანიზაცია, მოტივაცია და კონტროლი. თითოეული ამ ფუნქციათაგანი სასიცოცხლოდ მნისვნელოვანია ორგანიზაციისათვის. ამასთანავე, დაგეგმვა, როგორც მართვის ფუნქცია, სხვა ფუნქციებისათვის საფუძველს წარმოადგენს და მართვის ფუნქციებიდან უმთავრესად ითვლება, ხოლო ორგანიზაციის, მოტივაციისა და კონტროლის ფუნქციები ორიენტირებულია ორგანიზაციის სტრატეგიული და ტაქტიკური გეგმების შესრულებაზე.

ხასიათის მიხედვით განასხვავებენ სხვადასხვა ფორმის მოგზაურობას. ტურისტთა რაოდენობის მიხედვით განასხვავებენ ჯგუფურ და ინდივიდუალურ მოგზაურობას. ჯგუფური მოგზაურობის ქვეშ ჩვეულებრივ იგულისხმება რამოდენიმე პირის ერთპბლივი მოგზაურობა ერთიანი მარშრუტითა და ერთნაირი პირობებით. მოგზაურთა ჯგუფში გაერთიანება განპირობებულია მათი მსგავსი ინტერესებითა და მოგზაურობის მიზნებით, აგრეთვე ინდივიდუალურ მოგზაურობასთან შედარებით

დაბალი ფასით. საერთაშორისო ნორმებით, ხშირად, ჯგუფურ ფასდაკლებას ექვემდებარება 15 და მეტი ადამიანის ერთობლივი მოგზაურობა.

ინდივიდუალური მოგზაურობა წარმოადგენს ერთი ან რამდენიმე პირის დამოუკიდებელ გადაადგილებას, რომელიც დაკავშირებულია პერსონალური ხასიათის ტურისტული ინტერესების დაკმაყოფილებასთან, როგორც წესი, უფრო მაღალი ფასით. აღსანიშნავია, რომ ტურისტთა რაოდენობა, რომელიც მოგზაურობის ინდივიდუალობას განსაზღვრავს, მუდამ საკამათოა.

მიმართულია წარსულში დაშვებული შეცდომების გამოსწორებისკენ, უზრუნველყოფს დადებით შედეგებს მომავალში ტურიზმის ზრდის თვალსაზრისით. ასევე სთავაზობს გეგმას პოლიტიკის შემქმნელებს, მმართველ ხელისუფლებას, ადგილობრივ საზოგადოებას, აკადემიურ წრეებს, ტურიზმის სფეროს სტუდენტებს და საზოგადოებას ტურიზმის ინდუსტრიის ფართო განშტოებების შესახებ.

იმისთვის, რომ ტურზმის ინდუსტრია იყოს მდგრადი მომავალში, მნიშვნელოვანია ეფექტური პოლიტიკის დაგეგმვა და განვითარება დღეს. პოლიტიკოსებმა, ოფიციალურმა პირებმა და დაინტერესებულმა მხარეებმა, რომლებიც ახორციელებენ დაგეგმვას უნდა განსაზღვრონ განვითარებადი ტენდენციები ტურიზმში და მიიღონ ახალი ზომები, რომელიც გამოიწვევს თანმიმდევრულ ზრდას და ხარისხიანი პროდუქტის შექმნას, რაც მოუტანს სარგებელს, როგორც ტურიზმის სფეროს, ისე ადგლობრივ მოსახლეობას. სამწუხაროდ, წარსულში მთავრობას არ ჰქონდა ტურიზმის მიმართ ასეთი დამოკიდებულება, როგორც წარმოებული საქონლის ან სხვა მომსახურების ინდუსტრიის მიმართ. კონფლიქტების შესახებ ახალი ამბები, ტერორიზმი, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები, ბუნებრივი კატასტროფები და ამინდის პირობები, მძიმე რესპირატორული სინდრომის (SARS) ეპიდემია და ფრინველის გრიპით გამოწვეული შეშფოთება ცუდად მოქმედებს ტურიზმზე, ისევე როგორც მიწისძვრები, ქარიშხლები, ცუნამები და სხვა კატასტროფები. ნავთობის ფასების ესკალაცია, მსოფლიო ეკონომიკაში სირთულეები და ახალი ტექნოლოგიები უპრეცედენტო გავლენას ახდენს ტურიზმის ინდუსტრიაზე. წინამდებარე სალექციო კურსი განიხილავს ბევრ ასეთ ცვლილებას და საკითხს, და ზოგიერთ შემთხვევაში, გვთავაზობს გამოსავალს.

მეცხრამეტე საუკუნის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო რევოლუციის შემდეგ, ჩვენ ვზომავთ ქვეყნების სიმდიდრეს მატერიალური საქონლის განვითარებისა და ექსპორტის: სოფლის მეურნეობა და პირუტყვი, სამთო და დამამზადებელი; ინფრასტრუქტურის მშენებლობის: მაგისტრალები და ჯებირები; და ტრანსპორტირების კუთხით: გემები, რკინიგზები, თვითმფრინავები, ავტობუსები, ავტომობილები და სხვა მანქანები, რომლითაც მგზავრობენ ადამიანები მთელს მსოფლიოში. XXI საუკუნეში, ჩვენ ვიმყოფებით მომსახურებების რევოლუციაში, რომელიც ცვლის ჩვენი ცხოვრების წესსა და მსოფლიოს სიმდიდრისა და ეკონომიკის შეფასების მეთოდს. ამ ახალ

სამყაროში, ჩვენ აღმოვაჩინეთ კიდევ ერთი მნიშვნელოვნად მზარდი მომსახურების სექტორი - ზოგჯერ მოხსენიებული, როგორც "უხილავი" ან "არამატერიალური“ საქმიანობა: ტურიზმი - ტურიზმის ინდუსტრია გახდა ერთ-ერთი ყველაზე დინამიური ინდუსტრია მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რამდენადაც ის ერგება ტექნოლოგიურ ცვლილებას, პროდუქტის ინოვაციებსა და ახალ ბაზრებს. მდგრადი ტურიზმის მართვა დღევანდელ მსოფლიოში მატებს ტურიზმის ინდუსტრიის ზრდის მნიშვნელოვან პარამეტრს. პოლიტიკა, რომელიც ჩვენ დავსახეთ ტურიზმისათვის მუდმივად ცვალებად სამყაროში, მომავალში მიმართული იქნება მგზავრობისა და ტურიზმის ინდუსტრიისთვის მოქმედების წესზე.

მსოფლიოს ბევრ საზოგადოებასა და ქვეყანაში ტურიზმი ყველაზე მნიშვნელოვანი ინდუსტრიაა. ლას ვეგასი, ნევადა, ისევე როგორც ორლანდო, ფლორიდა, და კანკუნი, მექსიკა და სხვა მსგავსი ადგილები, სავარაუდოდ, იქნებოდა უცნობი, რომ არა შიდა და საერთაშორისო ტურისტების დიდი რაოდენობა, რომლებიც სტუმრობენ მათ ტურისტულ ადგილებსა და გარემოს.

ეკონომიკური ცვლილებები, რომლებიც მიმდინარეობს ჩინეთში, ინდოეთსა და შეერთებულ შტატებში, ძირითად გავლენას მოახდენს ხვალინდელი გლობალური ტურიზმის ბაზარზე. სოციალურ-კულტურული ცვლილებები ევროპაში, შეუზღუდავი ტურიზმის საზღვრებითა და ვალუტით, ხელს შეუწყობს ტურიზმის ზრდის შესაძლებლობებს. აღმოსავლეთ აზიის და ოკეანეთის ქვეყნებში აღინიშნება ტურიზმის უპრეცედენტო ზრდა და ცვლილება. ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით, ტურიზმი არის სასიცოცხლო ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტი, ადგილობრივი მოსახლეობისა და ეროვნული მთავრობებისთვის, რაც ხელს შეუწყობს შემოსავლის წარმოებას, სამუშაო ადგილების შექმნას, ახალი ბიზნესების მომრავლებას, ეკონომიკურ განვითარებას, ეკონომიკის დივერსიფიკაციას, ახალი პროდუქტების შემუშავებას და ეკონომიკურ ინტეგრაციას. იმ შემთხვევაში თუ ადგილობრივი და ეროვნული მთავრობები იქნებიან ფართომასშტაბიანი ტურიზმის პოლიტიკის განვითარების მომხრე, ტურიზმი უზრუნველყოფს თავისი მოქალაქეების ცხოვრების უფრო მაღალ ხარისხს, ამავდროულად მოიტანს მდგრად ეკონომიკურ განვითარებას, გარემოსდაცვით და სოციალური სარგებელს.

ტურიზმის ზრდა მთელ მსოფლიოში განპირობებულია კარგი პოლიტიკური კურსის გატარებით. მთავრობებმა, კერძო სექტორმა და არაკომერციულმა დაწესებულებებმა უნდა იმუშავონ ერთობლივად, იმისთვის, რომ იყვნენ ლიდერები მდგრადი ტურიზმის პოლიტიკის შექმნაში, რომელიც გასცდება ეკონომიკურ სარგებელს და მოიცავს ეკოლოგიურ და კულტურულ ინტერესებსაც. მოგზაურობისა და ტურიზმის ამ კონტექსტში განხილვა, ადგენს ნორმებს, რომ პოლიტიკოსებს უნდა ესმოდეთ, რომ არსებობს მრავლისმომცველი სტრატეგიის განვითარების საჭიროება პირობების შესაბამისად. პოლიტიკოსები კარგად უნდა იყოს გათვითცნობიერებულნი ბაზრის ტენდენციებში და საკმარისად მოქნილნი, რათა დაარეგულირონ სტრატეგიული გეგმები სწრაფად ცვალებად საბაზრო ძალების ფონზე. ამიტომ,

პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება ახალი ტურისტული დაგეგმარების პერიოდში მთლიანად უნდა მოიცავდეს ტურიზმის კომპლექსურ ბუნებას და მისი განვითარების შორსმიმავალ პერსპექტივებს. ტურიზმის პოლიტიკა და დაგეგმვა მიისწრაფვის შესაბამისი მართვის ტექნიკის და ინსტრუმენტების, ტენდენციების განვითარებისაკენ.

მერიემ ვებსტერის ონლაინ ლექსიკონი (Merriam-Webster Online Dictionary (2007) ტურიზმის პოლიტიკას განმარტავს, როგორც „გარკვეულ კურს ან მოქმედების მექნიზმს, რომელიც შერჩეულია ალტერნატივებს შორის და მოცემული პირობების ფონზე, მიმდინარე და მომავალი გადაწყვეტილებებების განსაზღვრისთვის“. პოპულარული ტურისტული სახელმძღვანელო ტურიზმი : პრი ნციპები , პრაქტიკა , ფილოსოფია (G o e l d n e r & R i t c h i e , 2 0 0 6) ტურიზმის პოლიტიკას განსაზღვრავს შემდეგნაირად: „ტურიზმის პოლიტიკა შეიძლება განისაზღვროს, როგორც რეგულაციების, წესების, სახელმძღვანელოების, დირექტივების და განვითარების/ხელშეწყობის მიზნების და სტრატეგიების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს სტრუქტურას, რომლის ფარგლებშიც, კოლექტიური და ინდივიდუალური გადაწყვეტილებები პირდაპირ გავლენას ახდენს გრძელვადიანი ტურიზმის განვითარებაზე და ყოველდღიურ საქმიანობებს, რომლის ფარგლებშიც მიიღება გადაწყვეტილებები“. ეს გადაწყვეტილებები ძალიან სასარგებლოა უმეტეს გარემოებებში.

ტურიზმის პოლიტიკის ძირითადი პრინციპი არის ის, რომ მან უნდა უზრუნველყოს, სახელმწიფომ (რეგიონი ან დასახლებული პუნქტები) მიიღოს რაც შეიძლება მაქსიმალური სარგებელი ტურიზმის ეკონომიკური და სოციალური შემოსავლებიდან. ტურიზმის პოლიტიკის საბოლოო მიზანი არის სახელმწიფოს პროგრესის გაუმჯობესება და თავისი მოქალაქეების ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

ტურიზმის აქვს პოტენციალი, ჩაერთოს და შეცვალოს ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და ეკოლოგიური საზღვრები მომავალი ცხოვრების წესისთვის. ედჯელი (Edgell) (1990) ამტკიცებდა, რომ ტურიზმის პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, ინტელექტუალური და ტურიზმის ეკონომიკური სარგებლის შეთავსება ხალხთან, ქვეყნებთან, რათა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ცხოვრების ხარისხი და უზრუნველყოფილ იქნეს მშვიდობის და კეთილდღეობის საფუძველი. ტურიზმის პოლიტიკური ასპექტები აგებულია მის ეკონომიკური შედეგებზე. „ტურიზმი არის, ან შეუძლია იყოს ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური საშუალებებისათვის“. ტურიზმის ინდუსტრია შედგება კერძო, საჯარო და არაკომერციული კომპონენტებისგან , რომლებიც დაინტერესებულნი არიან ტურიზმის განვითარებით, ახალი პროდუქტებით, ადგილის მარკეტინგით, ეკონომიკური სარგებლით და მომავალი მდგრადობით. აღნიშნულ ტურისტულ ინტერესებს აქვს ფართო შედეგები საზოგადოების ცხოვრებაზე და საჭიროებს პარამეტრებს და სახელმძღვანელო პრინციპებს, ტურიზმის პოლიტიკის მომავალი მიმართულების განსაზღვრისა და დაგეგმისათვის, ხარისხიანი ტურისტული პროდუქციისა და მომსახურების

უზრუნველყოფით. ტურიზმის პოლიტიკის მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის ხარისხის გაუმჯობესება ნებისმიერ ადგილას.

ადგილობრივი, სახელმწიფო, რეგიონალური და ეროვნული მთავრობები და სხვა რეგიონალური და გლობალური ორგანიზაციები, როგორიცაა: გაერთიანებული ერების მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია და მსოფლიო მოგზაურობის და ტურიზმის საბჭო, დაეხმარება განსაზღვროს ტურიზმის პოლიტიკა, რომელიც საუკეთესოდ წარმოაჩენს ბიზნეს გარემოს, ადგილობრივი საზოგადოების ინტერესებს ტურიზმისა და სამთავრობო სტრუქტურაში. მრავალი ტურისტული ასოციაცია და ორგანიზაცია ცდილობს გავლენა მოახდინოს ტურიზმის პოლიტიკაზე იმგვარად, რომ მათი ინტერესებიც გათვალისწინებულ იქნეს.

თავი II. ტურიზმის პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე

2.1 ბიზნესის ეთიკის პრობლემატიკა ტურიზმის პოლიტიკის ჩარჩოს მიხედვით

ტურიზმის გლობალური ეთიკის კოდექსი, რომელიც მიღებულია 2001 წლის 21 დეკემბერს, გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე - 13 სესიაზე, ასახავს ტურიზმის განვითარების პრინციპებს. ის არის მნიშვნელოვანი დოკუმენტი სხვადასვა დაინტერესებული მხარეებისთვის ტურიზმის სექტორში, „რომლის მიზანიცაა ტურიზმის უარყოფითი გავლენის შემცირება გარემოსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე, ამავდროულად ტურიზმის სარგებლის გაზრდა მდგრადგანვითარების ხელშეწყობის და სიღარიბის დაძლევის მიმართულებით.“ კოდექსი ითვალისწინებს „მთელი რიგი პრინციპების და გარკვეული წესების დაცვას“. გაერთიანებული ერების მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია მოუწოდებს ყველა ტურიზმით დაინტერესებულ პირს და ტურიზმთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს განავითარონ და დაიცვან ტურიზმის ეთიკის კოდექსი. აღნიშნული უზრუნველყოფს ბიზნეს ეთიკის ჩარჩოს საერთაშორისო ტურიზმის პოლიტიკის საკითხების გავლენის შესამოწმებლად, რამდენადაც ისინი ვრცელდება თანამედროვე ადგილობრივი, სახელმწიფო, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო საკითხებზე.

ამ კონტექსტში, ტურიზმის პოლიტიკის ძირითადი კომპონენტებია:

1. საერთო კარგი /გავლენის/ ქცევის / განათლების შესახებ გაიდლაინები / წესები / რეგულაცია;

2. ჩარჩო - მონაწილეობითი პროცესი;

3. ქცევის კოდექსი;

4. ფილოსოფია - ტურიზმის „სექტორად“ გახდომის ხედვა;

5. დინამიური ცვლილება;

6. თანამშრომლობა/ ხედვების გაერთიანება;

7. მთავარ დაინტერესებულ მხარეებს შორის კონსენსუსი;

8. დაფუძნებული კვლევაზე - გაზომვადი.

ტურიზმის პოლიტიკა არის პროგრესული ქმედებების, გაიდლაინების, დირექტივების, პრინციპების და პროცედურების კურსი ეთიკურ ფარგლებში, რომელიც არის საკითხებზე ორიენტირებული და საუკეთესოდ წარმოაჩენს საზოგადოების (ერის) განზრახვას, რომ ეფექტურად განახორციელონ დაგეგმვის, განვითარების, პროდუქტის, მომსახურების, მარკეტინგის და მდგრადობის მიზნები და ამოცანები ტურიზმის შემდგომი განვითარებისათვის. ტურიზმის პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე - 21-ე სააუკუნეში ტურიზმი არის ცხოვრების უფრო მაღალი დონისკენ ხალხის მისწრაფებების განხორციელების აუცილებელი მთავარი საშუალება. მიუხედავად იმისა ეს ხდება ადგილობრივ, სახელმწიფო, რეგიონალური, ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე, ძირითადი პრინციპები რჩება თანმიმდევლი. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ტურიზმის ურთიერთქმედებას ცალკეულ პირებს შორის, ჩაუყაროს საფუძველი მშვიდობას ავთენტური სოციალური ურთიერთობებით. ტურიზმი არის მზარდი საერთაშორისო სავაჭრო მომსახურების, ტურისტული სექტორის მრეწველობის ნაწილი. როგორც ასეთი, მას აქვს პოტენციალი, იყოს მნიშვნელოვანი სტიმულატორი და ხელი შეუწყოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ-კულტურულ და ეკოლოგიურ განვითარებას. ეკონომიკური შემოსავლის შექმნის ელემენტების და პოტენციალის კომბინციით, რომელიც ხელს შეუწყობს უფრო მეტ საერთაშორისო ურთიერთგაგებისა და
კეთილგანწყობას, ტურიზმი არის მშვიდობის მექანიზმი მთელ მსოფლიოში. აღნიშნული ადასტურებს ხედვას, რომ ტურიზმის პოლიტიკის მთავარი მიზანია, მისი სარგებელის და ხარჯების დაბალანსება მოსახლეობისთვის და ცხოვრების ხარისხის და მდგრადობის გაუმჯობესება ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ტურიზმის პოლიტიკის საკითხები მოიცავს ტურიზმის რეგულირებას და საჯარო პოლიტიკას, ტურიზმის დამხმარე სფეროებს, როგორიცაა საინფორმაციო ტექნოლოგიები, საფინანსო ორგანიზაციები და ორგანიზაციები, რომლებიც დაკავშირებულია ტურისტებთან, როგორც მოგზაურობის მომხმარებელთან. ფორმაციული ფაზა - ფორმაციული ფაზა ტურიზმის პოლიტიკის განვითარებაში გულისხმობს იმას, რომ ტურიზმთან დაკავშირებული საკითხები მოითხოვს ახლი ტურიზმის პოლიტიკის ფორმულირებას. ეს შეიძლება მოხდეს ნებისმიერ დონეზე დაინტერესებული მხარეების მრიდან სასურველი შედეგის მისაღებად, დაწყებული ადგილობრივი მოქალაქეებს შორის ურთიერთობიდან დამთავრებული ერებს შორის ურთიერთობით. ტურისტული ვიზიტების სწრაფი ზრდა პოპულარულ ადგილებამდე ან მოსახლეობამდე, აშშ-ის ეროვნული ტყეები კოლორადოსა და არიზონაში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, როგორიცაა მაჩუ პიჩუ, ამ ყველაფერმა ხელი შეუწყო ტურიზმის განვითარებას. ამან გამოიწვია მოულოდნელი საჭიროებები ტურიზმის პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში. ტურიზმის განვითარებიდან მიღებული შემოსავლები თანაბრად არ ნაწილდება. გარდა ამისა,

ზედმეტად პოპულარულმა ორიგინალურმა დანიშნულების ადგილებმა განიცადა ნგრევა, დეგრადაცია, რამაც რისკის ქვეშ დააყენა თავიანთი ჩვეული, დამახასიათებელი, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული, სოციოკულტურული და მემკვიდრული ფასეულობები, რომლებიც მნიშვნელოვანია, როგორც ტურიზმის ისე ცხოვრების დონის გაუმჯობესების კუთხით. შემაჯამაებელი ფაზა - ტურიზმის პოლიტიკის ანალიზის შემაჯამებელი ეტაპის მრავალი მაგალითი არსებობს, რომელიც აფასებს პოლიტიკის გრძელვადიან საკითხებს, მიღებულ ნორმებსა და მუდმივი მოქმედების წესებს. ეს ფაზა ხშირად იძლევა ყველაზე ხელმისაწვდომ შესაძლებლობებს სემესტრის განმვლობაში სტუდენტებისთვის ტურიზმის პოლიტიკის და კვლევის პროექტების შესწავლის კუთხით. მაგალითად, 1994 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების კოლორადოს შტატის მოსახლეობამ ხმა მისცა არსებული სახელმწიფო საგადასახადო სისტემის წინააღმდეგ სახელმწიფო ტურიზმის მარკეტინგისთვის, რამაც გამოიწვია კოლორადოს შტატის დასუსტება სამი წლის განმავლობაში, იმ დროს როცა კოლორადო იყო პირველ ხუთეულში და ეკავა მე -17 ადგილი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ტურისტული დანიშნულების ადგილების მიხედვით. მხოლოდ მცირე დრო იყო საჭირო შემაჯამებელი უარყოფითი შედეგების შეფასებისთვის საგადასახადო პოლიტიკის კუთხით, იმისთვის რომ გაეუქმებინათ კოლორადოს ტურიზმის მარკეტინგის დაფინანსება და ხელშეწობა. ტურიზმის პოლიტიკის კვლევის შემაჯამებელი ეტაპი მოითხოვს შეფასების კითხვები იყოს შესაბამისი ინფორმაციის მოპოვების კუთხით, მონაცემების შეგროვებას და ანალიზს, ინფორმაცია და რჩევები ტურიზმის პოლიტიკის კუთხით შეთავაზებული იქნეს საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. ტურიზმის პოლიკის საკითხების მნიშვნელობა - რატომ არის მიმდინარე შეფასებები ტურიზმის პოლიტიკის საკითხებში ყველა კონტექსტში მნიშვნელოვანი? ეს იმიტომ, რომ ტურიზმის ინტეგრაციული როლი იწვევს განვითარებას - უკეთესობისკენ ან უარესობისკენ, რიგ შემთხვევებში სხვადასხვა სექტორში - ადგილობრივი, სახელმწიფო, რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო ბიზნეს სავაჭრო და მომსახურების ინდუსტრიაში მსოფლიოში. ტურიზმი წარმოდგენილია, როგორც ეკონომიკური განვითარების ოპტიმალური ზრდის მულტიპლიკატორი. თანამედროვე ეკონომიკაში უმეტესად ეკონომიკა ეჯიბრება მიმდინარე მოცემულ და მომავალ საჭიროებებს. ყოველთვის არა, მაგრამ ხშირად, ტურიზმი განიხილება, როგორც ექვივალენტი ეკონომიკურ სპექტრში, სოციალურ-კულტურული და ეკოლოგიური ასპექტების განვითარების თვალსაზრისით. ტურიზმი, რეგულირება და საჯარო პოლიტიკა მდგრადი ტურიზმი, მგზავრის უსაფრთხოება და დაცვა, ჯანმრთელობის და სამედიცინო ტურიზმი, არის მაგალითები და ფაქტორები, რომლებიც მოიცავს რეგულირებას, დაგეგმვასა და საჯარო პოლიტიკას ტურიზმში. ერთ-ერთი ტურისტული ინდუსტრიის ერთი სეგმენტის ფარგლებში არსებობს მრავალი საკითხი, რომლებიც მოითხოვს ტურიზმის პოლიტიკასა და დაგეგმვას. მაგალითად, საერთაშორისო ავიახაზები ახორციელებენ ტვირთების გადაზიდვას და მგზავრების

საჰაერო უფლებებს. ავიაციის საჰაერო უფლებები, ეს არის ფუნქცია, ვინ ფლობს საჰაერო სივრცეს, რა საშუალები გამოიყენება მოქალაქეების დასაცავად. ტურიზმის პოლიტიკა ეჯახება კონფიდენციალურობის უფლებებს, ბიზნესის მოგებას მგზავრის უსაფრთხოების საკითხების ნაცვლად. ავიაკომპანიები ხშირად განიხილება, როგორც ძირითადი კატალიზატორი ბიზნესის გატარების კუთხით. ქალაქის მენეჯერები პატარა ქალაქებში ავიაკომპანიებს თვლიან ბიზნესის მოზიდვის განუყოფელ ნაწილად. აქედან გამომდინარე, ქალაქის ხელმძღვანელებმა ყურადღება უნდა მიაქციონ, როგორც ბიზნესის და სპეციალური სასწავლო დაწესებულებების საჭიროებებს, ასევე ტურისტების საჭიროებებს. ტურიზმი და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები - მიმდინარე სერიოზული მწვავე რესპირატორული სინდრომის (SARS) ეპიდემიამ აჩვენა, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები მნიშვნელოვანია ტურიზმისთვის. ზოგიერთ შემთხვევაში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები თამაშობს დადებით როლს ტურიზმის ინდუსტრიაში. მაგალითად, სპა ინდუსტრიის სწრაფმა ზრდამ შექმნა მაღალხარისხოვანი ნიშა მოგზაურობაში სამედიცინო ბაზარზე. თუმცა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულმა სხვა საკითხებმა იქონიეს უარყოფითი გავლენა ინდუსტრიაზე, როგორიცაა SARS, შიდსისა და სხვა გადამდები დაავადებები, რომლებიც გავრცელდა ბევრად უფრო სწრაფად, რაც ნაწილობრივ განპირობებული იყო, ტურიზმისა და მასთან დაკავშირებულ საქმიანობასთან. შეუძლია თუ არა ერთ ქვეყანას აკრძალოს ან ხელი შეუშალოს მოგზაურობას სხვა ერებში და მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა იქონიოს სხვა ქვეყნის ეკონომიკაზე? პოლიტიკის გადაწყვეტილებებმა იმის შესახებ, რომ შეზღუდოს მოგზაურობა ქვეყნებში ეპიდემიის გამო, შესაძლებელია გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ვარდნა მოგზაურობაში, რაც თავის მხრივ, გავლენას ახდენს მოგზაურობის მხარდაჭერაზე და ტურისტულ ინფრასტრუქტურაზე მსოფლიოში. SARS ეპიდემიამ იმოქმედა აზიის ქვეყნების მოგზაურობაზე მნიშვნელოვნად, რამაც გამოიწვია ვიზა ბარათების გამოყენების შემცირება. აზიის ბაზარი მნიშვნელოვნად დაზარალდა კრიზისის დროს ტურიზმში, რაც გამოწვეული იყო აღნიშნული ვირუსის (SARS) გავრცელებით. მაგრამ ვირუსის მოცულობა დაუბრუნდა ნორმის ფარგლებს ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში. (Lee, 2003). ხშირად სამედიცინო მოგზაურობა გთავაზობს კიდევ სხვა რეგულაციებს პოლიტიკის საჭიროებების კუთხით. რადგან სამედიცინო პრაქტიკა უმჯობესდებამსოფლიოში, მრავალი ქვეყანა ტურიზმს განიხილავს, როგორც მნიშვნელოვან ნაწილს სამედიცინო სფეროში. აქცენტი კეთდება დაზღვევის, სამედიცინო პრაქტიკის და არაკანონიერი მოქმედების, ეთიკის ან კანონის დარღვევის საკითხებზე. ექიმებისთვის დაზღვევა და ცუდი სამედიცინო მომსახურების აღმოფხვრა არის სამედიცინო ტურიზმის საკითხები. რა შეიძლება გააკეთოს სამედიცინო ტურიზმმა თავისი მოქალაქეების დასაცავად საზღვრებს გარეთ ყოფნის დროს? ეს დამოკიდებულება მოქალაქეებისათვის სამედიცინო უსაფრთხოების კუთხით არ შემოიფარგლება მხოლოდ მიკრობების ზემოქმედებით და ვირუსებით სხვა ქვეყნებიდან. სათავგადასავლო მოგზაურობის მუდმივი ზრდის შედეგად აღმოჩნდა,

რომ მოგზაურობებს, რომლებიც დასრულდა წარუმატებელად ჭირდება ყურადღების მიქცევა. სამაშველო მისიები, გადაუდებელი მედიცინა, სამთავრობო რესურსები მიზანშეწონილად უნდა იყოს გამოყენებული, იმისთვის რომ მოხდეს ხალხის დახმარება, იმ ადამიანების დახმარება, რომლებიც დაკავებული არიან სარისკო მოგზაურობებით. ყველა საქმიანობა მიმართულია იმისკენ, რომ დიდი რაოდენობით ტურისტებმა შეისწავლონ სხვადასხვა გარემო და მოძებნონ ახალი მოგზაურობის გამოცდილება მსოფლიოში. ტურიზმი და უსაფრთხოება - 11 სექტემბრის და სახელმწიფო ტერაქტების შედეგად მთელ მსოფლიოში, უსაფრთხოება არის ტურიზმის პოლიტიკის წამყვანი და მნიშვნელოვანი საკითხი ოფიციალური პირებისათვის და ხალხთა ჯგუფებისათვის. იგი ასევე მოიცავს პოლიტიკურ შეტაკებებს, კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების საკითხებს. არსებობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ისეთი საკითხები როგორიცაა: ბარგის შემოწმება, პირადი დათვალიერება, იმის ნაცვლად, რომ უზრუნველყოთ და მომხდარიყო ადამიანის და მისი ნივთების შემოწმება, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ არ ქონდათ იარაღი, ან არ ქონდათ შენახული იარაღი თავიანთ ნივთებში. კონფლიქტების შესახებ ინფორმაცია არის ზოგადი: ტურიზმის მონაცემების ხელმისაწვდომობა (სახელი, მისამართი, საკრედიტო ბარათის ინფორმაცია) და ვის აქვს უფლება ქონდეს წვდომა ასეთ ინფორმაციაზე. რამდენად უნდა ქონდეს მთავრობებს ნებართვა ნახონ და გამოიყენონ სხვადასხვა ტურისტული ორგანიზაციების მიერ შეგროვებული ინფორმაცია. (განსაკუთრებით ავიაკომპანიების კომპიუტერულად წინასწარ დაჯავშნული, შეკვეთილი ადგილებირეზერვაციები და პირადი ინფორმაცია). მიმდინარე დებატები ორიენტირებულია აშშ-ს დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურის მიერ ინფორმაციის გამოყენების კანონიერების გაფართოებაზე (ქონდეთ კანონიერი უფლება გამოიყენონ ინფორმაცია). მონაცემთა უსაფრთხოების პროგრამა სახელწოდებით ავტომატური საკონტროლო სისტემა. ამ პროგრამის გაფართოება მოხდა იმისთვის, რომ დაწყებული საბაჟო შემოწმებით შექმნილიყო დიდი მონაცემთა ბაზა ტერორიზმის რისკების შეფასებისთვის, აღმოფხვრისთვის. მათ შორის, სახელის, დაბადების თარიღის, ფრენის მარშრუტის, საკრედიტო ბარათის ინფორმაცია და საბაჟო ინსპექტორების ინტერვიუ და ჩანიშნული ინფორმაცია, რომელიც იყო მიღებული ყველა მოგზაურისგან ვინც შემოდიოდა და ტოვებდა ქვეყანას, ინფორმაცია საკუთრების შესახებ, უსაფრთხოების უზრუნველყოფა მთავრობასა და ავიაკომპანიებს შორის. ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა კავშირის პროტესტი, კონფიდენციალურობის საკითხებთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს ასეთი ინფორმაციის არაკანონიერ გაყიდვებს მარკეტინგული მიზნებისათვის. როგორ შეიძლება მგზავრის შესახებ ინფორმაცია გამოყენებული იყოს და ვის მიერ? როდის შეიძლება ტურიზმის პოლიტიკის ჩარევა კერძო სექტორში და როგორ გააკონტროლოს მთავრობამ ასეთ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. პოლიტიკის ფორმულირება ხელს უწყობს სამთავრობო ხელისუფლების წარმომადგენლებს შეაფასონ ამ ფაქტორების გადაწყვეტილების მიღებისა და დაგეგმვის პროცესი.

აგროტურიზმი - სოფლის მეურნეობის მნიშვნელობა სოციალური თვალსაზრისით მეტწილად არის საზოგადოების, ადგილობრივი მოსახლეობის სურვილი შეინარჩუნოს სოფლის მეურნეობის ესთეტიკური და კულტურული ფასეულობების ღირებულებები, შეიტანონ თავიანთი წვლილი ადგილის მიმზიდველობის თავლსაზრისით. ამერიკის შეერთებული შტატების თანმიმდევრული კვლევის შედეგები მიუთითებს მუდმივ დამოკიდებულებებს, რომელზეც გავლენას ახდენს სასიამოვნო ღირებულებები, ვიდრე პროდუქციის ღირებულება, სოფლის მეურნეობის შესახებ აღქმა იძლევა საშუალებას ცალკეულმა პირებმა განიხილონ სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვან სფეროდ, მაგრამ მათ აქვთ მცირე წარმოდგენა ფაქტობრივი ვითარების შესახებ რა ხდება სოფლის მეურნეობაში ეკონომიკური თვალსაზრისით, მიწათსარგებლობის საკითხების შესახებ ინფორმაციას, ცვლილებების შედეგებს სოფლის მეურნეობის პროდუქციაში მომავალში. პირდაპირი მიზანია სამუშაო ადგილების შექმნა და მოგების, შემოსავლების მიღება ფერმერებისთვის, იმ დროს როცა არაპირადპირ მიზნებს წარმოადგენს ლანდშაფტის შენახვა-შენარჩუნება სოფლის მეურნეობის მეშვეობით. რა სჭირდება დანიშნულების ადგილს იმისთვის, რომ გახდეს აგროტურიზმი მიმზიდველი? სახელმძღვანელოები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, რეჟიმები შეიძლება იყოს უაღრესად ბიუროკრატიული.

2.2 პოლიტიკა და საგარეო პოლიტიკის გავლენა ტურიზმზე

ტურიზმის პოლიტიკური ასპექტები დაკაშირებულია მის ეკონომიკურ შედეგებთან. ტურიზმის არის ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალება, როგორც "პოლიტიკის გაგრძელება და მსოფლიოს პოლიტიკური ეკონომიკის განუყოფელი ნაწილი. ეკონომიკური მიზეზების გამო, თითქმის ყველა ქვეყანა ცდილობს აწარმოოს შემომყვანი ტურიზმი (Inbound Tourism). მოგზაურობის ისტორია მოიცავს რეკომენდაციებს ტურიზმში, დაწყებული მარკო პოლოს მიერ აღწერილი პოლიტიკური მოვლენებიდან აღმოსავლეთში დამთავრებული ცოდნის ნაკლებობით და მითები, რომელიც დაკავშირებულია „ბნელ კონტინენტთან", რომელიც მოხდააფრიკის აღმოჩენამდე ევროპელების მიერ. დანახარჯები უცხოელი ვიზიტორების მიერ ემატება ქვეყნის ეროვნულ შემოსავლებს და დასაქმებას და არის სავალუტო მოგებაში მნიშვნელოვანი წყარო. შეთანხმებები ტურიზმის სფეროში - შეთანხმებები ტურიზმში გულისხმობს ვაჭრობის ხელშეწყობას. ეს შეთანხმებები ასევე ემსახურება ეროვნული პოლიტიკის მიზნებს, როგორიცაა საერთაშორისო გაგების მხარდაჭერა, მეგობრული ურთიერთობები და კეთილგანწყობა. ბოლო 30 წლის განმავლობაში, ამერიკის შეერთებული შტატები აწარმოებდა შეთანხმებებს ტურიზმში ბევრ ქვეყანაში. ტურიზმის შეთანხმებები ზოგადად ფოკუსირებულია შემდეგ კონკრეტულ კრიტერიუმებზე:

1. ორმხრივი ტურიზმის გაზრდა
2. მოგზაურობის ხელშეწყობი ეროვნული ტურიზმის ორგანიზაციის ოფისების მხარდაჭერა
3. ტურიზმის ბიზნესის განვითარება
4. მომგებიანი ინვესტიციების მხარდაჭერა ტურიზმის ინდუსტრიაში
5. სტატისტიკის და ინფორმაციის, კვლევების გაზიარების ხელშეწობა
6. უსაფრთხოების მნიშვნელობის აღიარება და ტურისტების უსაფრთხოება
7. საერთაშორისო ტურიზმში ორმხრივი თანამშრომლობის პოლიტიკის საკითხები
8. უზრუნველყოფს რეგულარულ კონსულტაციებს ტურიზმის საკითხებში
9. განათლებიდან და ტრენინგიდან მიღებული სარგებლის აღიარება
10. ურთიერთგაგების გაღრმავება და კეთილგანწყობა.

საერთაშორისო ტურიზმის შეთანხმებების ორი ცნობილი მაგალითი მოიცავს აშშ-ს და მის სავაჭრო პარტნიორებს, მაგალითად, მექსიკის შეერთებულ შტატები და ვენესუელის რესპუბლიკა. ორივე შეთანხმება უფლებამოსილებას ანიჭებს ტურიზმის ოფიციალური პირებს იყვნენ დიპლომატიური ან საკონსულო დაწესებულების წევრები, ხელი შეუწყოს ტურიზმის სტატისტიკის და ინფორმაციის გაცვლას ორ ქვეყანას შორის რომლებიც ჩართული არიან შეთანხმებაში. ეს და სხვა შეთანხმებები მოწმობს, რომ აშშ მონაწილეობას მიიღებს გაერთიანებული ერების მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციაში. ტურიზმის შეთანხმება, რომელიც ამოქმედდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მექსიკაში 1989 წლის ოქტომბერში, რომელმაც შეცვალა 1983 წლის აპრილის შეთანხმება, ეხმარება ავტოსატრანსპორტო კომპანიას გადაზიდვაში სხვა სახმელეთო ტრანსპორტს მთელს საერთაშორისო საზღვებზე და მოუწოდებს ერებს, ქვეყნებს გაავრცელონ ინფორმაცია საავტომობილო პასუხისმგებლობის/ვალდებულების შესახებ. სახმელეთო ტრანსპორტის პოლიტიკის გაგება ვიზიტორებისთვის არის გადამწყვეტი, რდაგან ბევრი ვიზიტორი კვეთს საზღვარს პირადი მანქანებით. შეთანხმება ითვალისწინებს დებულებებს რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნული კულტურული მოვლენების განვითარებას(bi-national cultural events), კავშირების გამტკიცებას და ტურიზმის ხელშეწყობას. უარს ამბობს მასწავლებლებისთვის სავიზო საფასურის გადახდაზე და ექსპერტებზე ტურიზმის სფეროში. მოგზაურობის ხელშეწყობა რეგიონებში, ტურისტული ობიექტების და ატრაქციონების განვითარება და გაუმჯობესება, მოიცავს ეროვნული კულტურის მაგალითებს თითოეულ ქვეყნაში. ამერიკა-მექსიკის ხელშეკრულება მკაფიოდ, ნათლად აცხადებს, რომ ქვეყნები ეცდებიან ხელი შეუწყონ ტურისტების მოგზაურობას ქვეყნებს შორის გამარტივების და აღმოფხვრის გზით, გულისხმობს შესაბამის პროცედურულ და დოკუმენტური მოთხოვნების აღმოფხვრას. ეს ეწინააღმდეგება საზღვრის გადაკვეთის პოლიტიკას, რომელიც ხაზგასმულია დასავლეთ ნახევარსფეროში მოგზაურობის ინიციატივის მიერ (Western Hemisphere Travel Initiative). რომელიც მოთხოვს ყველა მოქალაქეს წარმოადგინოს დაზღვეული პასპორტი აშშ-სა და მექსიკაში შესვლის დროს. ეს ხდება რა თქმა უნდა,

ტერორისტული აქტების თავიდან აცილების მიზნით ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს სიტუაცია არის კარგი მაგალითი, რომ საჭიროა სტრატეგია და პოლიტიკა ტურიზმში. ეს არ არის წინააღმდეგობის გამწევი მაგრამ ასევე აქტიური, პრევენციული, როგორიცაა საბაზრო პირობები და საგარეო პოლიტიკის ცვლილება. ტურიზმის შეთანხმების საინტერესო ასპექტი ვენესუელას და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ძალაში შევიდა 1989 წლის 7 სექტემბერს, ის მოუწოდებს სააგენტოებს დადონ საკუთარი შეთანხმებები ერთმანეთს შორის. მთავრობათაშორისი ორგანიზაციები და რეგიონული დარგობრივი ასოციაციები მთავრობათასორის და ტურისტულ ორგანიზაციებს ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე შეუძლიათ მოახდინონ მნიშვნელოვანი გავლენა პოლიტიკაზე და ტურიზმის პოლიტიკის შედეგებზე. არსებობს მთელი რიგი ასეთი სამთავრობათაშორისო ორგანიზაციები რომლებიც შექმნილია იმისთვის, რომ მართოს საერთაშორისო ტურიზმის პოლიტიკის საკითხები. არსებობს მსოფლიო დონის ორი ორგანიზაცია: მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO) და მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭო (WTTC). რეგიონული ორგანიზაციები მოიცავს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციას (OECD), ამერიკის შეერთებული შტატების ორგანიზაციას (OAS), აზიის და წყნარი ოკეანის ეკონომიკურ თანამშრომლობას (APEC) და კარიბის ზღვის ტურიზმის ორგანიზაციას (CTO).მნიშვნელოვანი რეგიონალური ორგანიზაცია ამერიკის შეერთებლ შტატებში არის სამხრეთ ტურიზმის საზოგადოება (STS), რომელიც შედგება თორმეტი წევრი ქვეყნისგან. ტურიზმის გამარტივება/ხელშეწყობა: სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები გავლენას ახდენს მთავრობის მოქმედებაზე და რეგულაციებზე, რაც მოქმედებს ტურიზმის ხელშეწყობაზე. მოგზაურობა იკრძალება დროდადრო პოლიტიკური მიზეზების გამო. მაგალითად არ არის გასაკვირი, ის რომ მთავრობა უკრძალავს მოგზაურობას თავისი ქვეყნის მოსახლეობას ომის ზონებში, ასევე მტრულად განწყობილი ქვეყნების ტერიტორიებზე, სადაც მთავრობას არ აქვს საშუალება უზრუნველყოს მათი სიცოცხლის და საკუთრების დაცვა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი საკონსულო საქმეთა ბიუროს მეშვეობით, მოგზაურობასთან დაკავშირებული საკითხები (საფრთხის თაიდან აცილების მიზნით) და ინფორმაცია რომელიც გააჩნია საკონსულოს, ასევე არსებობს სამოგზაურო სათათბირო ორგანიზაციები, რომლებსაც შეუძლია გააფრხილოს აშშ მომავალი არახელსაყრელი/მტრული პირობების შესახებ რომელიც მოსალოდნელია კონკრეტულ ქვეყნებში ან ტერიტორიებზე. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულითავდასხმის შედეგად შეიქმნა აშშ-ს შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტი, რომელიც ემსახურებოდა შემდეგ მიზნებს: უზრუნველყოს აშშ მოქალაქეების და საერთაშორისო ვიზიტორების დაცვა. წარსულში მოგზაურებზე ვიზა გაიცემოდა ადვილად და ქვეყანაში შესვლისთვისსხვა საჭირო მოთხოვნები მინიმუმამდე იყო დაყვანილი იმისთვის რომ თავიდან ეცილებინათ ვიზიტორებისთვის ზედმეტი დისკომფორტი. მსოფლიოში არსებული ტერორისტული თავდასხმების და მოქმედებების შედეგად მიმდინარე წლებში უსაფრთხოება და დაცვა გახდა

მნიშვნელოვანი პრიორიტეტი. ამიტომ მთავრობები ყურადღებას უთმობენ რეგულაციებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში ბიომეტრიული ჩიპი (ინტეგრირებული ჩიპი) იყო საშუალება , რომელიც უზრუნველყოფდა მოგზაურის სწორად იდენტიფიკაციას. იდენტიფიკატორები რომლებიც იყენებდნენ ბიომეტრულ ჩიპს, პიროვნების იდენტიფიკაციისთვის ზოგადად იყენებდნენ სახის გამოსახულებას ან ელექტრონულ ხელმოწერას. ეს საშუალებები მიღებულია მოგზაურთათვის ვინც უწინ სარგებლობდა აშშ-ში უვიზო მიმოსვლის პროგრამით. 27 ქვეყანას რომელიც მონაწილეობდა უვიზო მიმოსვლის პროგრამაში აშშ-ში ქონდა უვიზოდ მოგზაურობის უფლება თუ არ რჩებოდა ამერიკაში 90 დღეზე მეტი. ამ პროგრმაში მონაწილე ქვეყნები იყო: ანდორა, ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, დანია,ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, ისლანდია, ირლანდია, იაპონია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ნორვეგია, პორტუგალია, სან მარინო, სინგაპური,სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია და გაერთიანებული სამეფო. ეს პროგრამა დაიწყო 1986 წელს, რათა ხელი შეუწყო მოგზაურობისთვის და ჩამოეყალიბებინა უკეთესი ურთიერთობები ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მონაწილე ქვეყნებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ადრე მოგზაუროა იყო გამარტივებული 2006 წლის 26 ოქტომბერს ყველა ახალი ან განახლებული პასპორტი იქნა შემოღებული მოგზაურთათვის და იმისთვის რომ შესულიყო აშშ-ში უნდა ქონოდა წამკითხავი მოწყობილობა პასპორტზე ინტეგრირებული ჩიპით. (ამერიკის შეერთებული შტატები ავალდებულებს ორი თითის დასკანერებას).ასევე, სატრანსპორტო გადამზიდავები დაჯარიმდებიან 3300 დოლარით დარღვევისთვის იმ შემთხვევაში თუ ისინი მოახდენენ ვიზიტორის ტრანსპორტირებას უვიზოდ მიმოსვლის პროგრამის წესების დარღვევით ამერიკის შეერთებულ შტატებში. ტურიზმი და უცხოეთის პოლიტიკა: ჟან-მორის თუროტი თავის კვლევაში ტურიზმის რელამირებისას აღნიშნავდა რომ ტურიზმი ქმნიდა ეკონომიკურ დამოკიდებულებას მასპინძელი ქვეყნის მიერ ტურიზმის მწარმოებელ ქვეყნებზე. ამ დამოკიდებულებას შეუძლია გავლენა იქონიოს მასპინძელი ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე ტურიზმის მწარმოებელ ქვეყნებან მიმართებაში. ეს განსაკუთრებით ამართლებს ისეთ ქვეყნებში რომლებსაც ჭირდება სავალუტო გაცვლა ან მყარი სავალუტო კურსი ეკონომიკური განვითარებისათვის. ეკონომიკური განვითარების პროცესში ქვეყნებმა უნდა შეიძინონ ძირითადი საშუალებები, განსაკუთრებით კაპიტალი და ტექნიკა ინდუსტრიული ქვეყნებისგან იმისათვის, რომ სწრაფად მოხდეს თავისი ქვეყნის ზრდა. მათ, თავის მხრივ შეუძლიათ გაყიდონ აღნიშნული ტურიზმის პროდუქტები განვითარებულ ქვეყნებში. ტურიზმი, როგორც მშვიდობის პოლიტიკა: ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს საკუთარი ქვეყნის მაცხოვრებლების და ვიზიტორების უსაფრთხოება. სამოქალაქო დავა და არეულობა რომელიც მოხდა ჩრდილოეთ ირლანდია და ინგლისში იქონია უარყოფითი გავლენა ტურიზმზე. 1999 წლის სამხედრო უთანხმოების შედეგად იუგოსლავიის ყოფილ რესპუბლიკაში მოხდა ტურიზმის განვითარების შეჩერება,თუმცა მანამდე ქვეყანა იღებდა 10 მილიონზე მეტ ვიზიტორს წელიწადში. მიმდინარე პოლიტიკურმა

პრობლემებმა ვენესუელაში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში გამოიწვია ტურიზმის განვიათრების შეწყვეტა. ომი, მუდმივი ტერორიზმის საფრთხე ცუდად მოქმედებს საერთაშორისო ტურიზმზე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ტერორიზმის შედეგად ნიუ იორკში,პენსილვანიაში და ვაშინგტონში 2001 წელს მნიშნვნელოვნად შემცირდა ამერიკის შეერთებულ შტატებში შემომსვლელი ადამიანების რიცხვი. 2004 წლიდან შეინიშნება საერთაშორისო ტურისტების გაზრდილი რაოდენობა (იზრდება საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა). დემოკრატიული მშვიდობის თეორია დაფუძნებულია წინაპირობაზე რომ დემოკრატიის გამტარებლები იშვიათად იღებენ ომებში და სამხედრო დავებში მონაწილეობას თავიანთი ღირებულებებიდან გამომდინარე. დებატები გრძელდება აღნიშნული თეორიის ლეგიტიმურობაზე. ემაუელ კანტის მიხედვით დემოკრატიული მშვიდობის თეორია ეფუძნება პრინციპებს რომელიც ასახულია მის ნაშრომში „პროექტი მუდმივი მშვიდობისთვის“/ თავის ნაშრომში მან შემოგვთავაზა სამი განსაზღვრული საკითხი მუდმივი მშვიდობისათვის:

1. სამოქალაქო კონსტიტუციის მიხედვით ყველა სახელმწიფო უნდა იყოს

რესპუბლიკური.

2. ქვეყნების სამართალი უნდა იყოს დაფუძნებული თავისუფალი ქვეყნის

გაერთიანების შედეგად

3. კანონი მსოფლიო მოქალაქეობის შესახებ უნდა შემოიფარგლებოდეს კანონი

მსოფლიო მოქალაქეობა უნდა შემოიფარგლოს პირობები უნივერსალური

მასპინძლობის/სტუმართმოყვარეობის პირობებით.

პოლიტიკური სტაბილურობა, უსაფრთხოება და ტურიზმი:

დემოკრატიული მშვიდობის თეორია გულისხმობს იმას, რომ დემოკრატიამ უნდა

მოიტანოს პოლიტიკური სტაბილურობა. პოლიტიკური სტაბილურობა იწვევს

უსაფრთხოებას და დაცვას დემოკრატიულ ქვეყნებში. კანტი აცხადებს, რომ სტუმარს უცხო მიწაზე აქვს უფლება „არ განიხილებოდეს როგორც მტერი, როდესაც იგი ჩამოდის სხივს მიწაზე“. სტუმარს არ უნდა მოექცნენ მტრულად, რადგან სტუმარი მოქმედებს მშვიდობიანად დანიშნულების ადგილის ფარგლებში, მაგრამ ვიზიტორები დღეს უცხო ქვეყნებიდან და მომავალში, ვერ ნახავენ ასეთ შემთხვევას ქვეყნებში რომელთაც გამოცადეს ტერორისტული თავდასხმები. მოგზაურები უსფართხოებას და დაცვას აფასებენ შვებულების დაგეგმვის ძირითად ფაქტორებად. საერთაშორისო მოგზაურების 63 % ამერიკის შეერთებულ შტატებში საუბრობს დანიშნულების ადგილის უსაფრთხოებაზე და დაცვაზე როგორც ძალიან მნიშვნელოვან საკითხზე. თუ არ მოხდება დანიშნულების ადგილის უსაფრთხოების და დაცვის უზრუნველყოფა, ბიზნესზე და მოგზაურობაზე იმოქმედებს უარყოფითად. ურთიერთნდობა, როგორც ტურიზმის შედეგი: ინდუსტრიული ორგანიზაციების მხრივ ხშირად ხდება ტურიზმის რეკლამირება. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO), აცხადებს თავის

პოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგნაირად: „ინტერკულტურული ცნობიერება და პირადი მეგობრობა ტურიზმის მეშვეობით არის მნიშვნელოვანი ძალა იმისთვის რომ გაუმჯობესოს საერთაშორისო გაგება და ხელი შეუწყოს მშვიდობის ჩამოყალიბებას მსოფლიოს ქვეყენბს შორის“. ტურიზმი განვითარდა კონცეფციის ფარგლებში რომ მოგზაურობისას მნიშნველოვანია მშვიდობის მხარდაჭერა. საერთაშორისო ინსტიტუტი მშვილობისათვის ტურიზმში შეიქმნა 2000 წელს,რომელიც განვითარებს და ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას, რაც ქმნის მშვიდობიან და მდგრად მსოფლიოს ტურიზმის მეშვეობით.

თავი III. საქართველოს ტურისტული რესურსები და ტურიზმის განვითარების პერსპექტივები

3.1 საქართველოს ტურისტული რესურსები

საქართველოს თავისი ბუნებრივი, გეოგრაფიული, კლიმატური, რეკრეაციული შესაძლებლობებისა და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის გამო ტურიზმისა და საკურორტო საქმიანობის დიდი პოტენციალი გააჩნია. რესურსული პოტენციალის მნიშვნელობის მხრივ, საქართველო, ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა, რომლის მიმართაც ინტერესი უძველესი დროიდან არსებობდა, რაზეც მეტყველებს თქმულება არგონავტების შესახებ. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად კოლხეთში მოსული არგონავტების ყურადღება მედიცინამაც მიიპყრო, რომელიც იმ დროისათვის საკმაოდ მაღალ დონეზე იყო განვითარებული. საქართველო თავისი ისტორიის მანძილზე

ისეთ ხელსაყრელ პოლიტიკურ გარემოში არასოდეს არ მოქცეულა, როგორც ეს X-XII სს-ში იყო. ამ დროს დამყარდა ინტენსიური სავაჭრო კავშირები, აღმოსავლეთის, დასავლეთის, სამხრეთის და ჩრდილოეთის ქვეყნებთან. ქვეყანა სატრანზიტო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებით დაიქსელა, მათ შორის გამორჩეული იყო უძველესი «აბრეშუმის გზა". როგორც აღინიშნა, საქართველო უძველესი დროიდან დასერილი იყო სავაჭრო გზებით და ცხადია ამის გამო წარმოუდგენელი იყო დასასვენებელი ადგილებისა და მოგზაურთა მომსახურებისათვის აუცილებელი, თუნდაც პრიმიტიული ინფრასტრუქტურის გარეშე. სწორედ აქედან იღებს სათავეს ჩვენში სასტუმროების ტიპის სახლების მშენებლობა, როგორციაა: ქარვასლა, სასვენია, ხანი, სამადლო, იამი, ფუნდუკი, მანძილი. ძველად მოგზაურობა თვეობით და წლობით გრძელდებოდა და იძლეოდა არა მხოლოდ გამოცდილებას, არამედ მრავალმხრივ ინფორმაციას ქვეყნების, ხალხების, ადათწესებისა და კულტურის შესახებ. მოგზაურობა სამყაროს მშვენიერების აღქმის უნარს ანვითარებდა. ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი XVII ს-ის 70-იანი წლების თბილისის აღწერისას აღნიშნავს: «თბილისი აღმოსავლეთის ერთ-ერთი ულამაზესი, მჭიდროდ დასახლებული ქალაქია. თბილისში უფრო მეტ უცხოელს შეხვდებით, ვიდრე სხვაგან სადმე». უკვე XIX საუკუნიდან საქართველოს მთიანი მხარეებისა და საზღვაო სანაპიროს დასასვენებლად და სამოგზაუროდ ათვისების ცდები შეინიშნება. საქართველოს ტურისტულ-საკურორტო პოტენციალს განსაზღვრავს:

1. შავი ზღვის სანაპირო ზოლი, რომლის სიგრძე ქვეყნის მასშტაბით 318 კილომეტრია, იგი მასობრივი ტურიზმის განვითარების ძირითად საფუძველს წარმოადგენს.
2. დიდი და მცირე კავკასიონის მთაგრეხილები, რომელიც შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდეა გადაჭიმული და სიგრძით 1500 კილომეტრს აღწევს. საქართველოს მთიანეთი სამთოსათხილამურო ტურიზმისა და ალპინიზმის განვითარებისათვის უაღრესად ხელსაყრელ პირობებს ქმნის. დიდ კავკასიონზე არის მწვერვალები, რომელთა სიმაღლე 4000 მეტრს აღწევს. კლიმატური პარამეტრების ფორმირებას განაპირობებს ხმელთაშუაზღვისპირეთის ზომიერი, ნოტიო და მშრალი, კონტინენტური კასპიის ზღვის აუზი. ჰავა, დასავლეთ საქართველოში უპირატესად ნოტიო, სუბტროპიკულია, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში გარდამავალი, სუბტროპიკულიდან ზომიერისაკენ. იანვრის საშუალო ტემპერატურაა + 3 გრადუსიდან (კოლხეთში) – 2 გრადუსამდე, აგვისტოში კი 23-26 გრადუსი. დასავლეთ საქართველოში, რომელიც შავ ზღვას ემიჯნება, მოდის წელიწადში 1000დან 2800-მდე მმ ნალექი, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 300-600 მმ. საქართველო კურორტების ქვეყანაა. აქ დღეისათვის 102 კურორტი და 182 საკურორტო ადგილია. ქვეყნის საკურორტო რესურსები მრავალფეროვანია. აღრიცხულია შემდეგი სახის სამედიცინო პროფილის კურორტები: კარდიოლოგიური, პულმონოლოგიური, ფტიზიატრიული, ალერგოლოგიური, ნევროლოგიური, გასტროენტეროლოგიური, ართროლოგიური, გინეკოლოგიური, ნეფროლოგიური, უროლოგიური, დერმატოლოგიური. ზღვის დონიდან 700 მეტრ სიმაღლეზე განლაგებულია

ბალნეოლოგიური კურორტები – წყალტუბო, ნაბეღლავი, ზვარე, ნუნისი და სხვა. ზღვის დონიდან 7001000 მეტრ სიმაღლეზე – ასევე ბალნეოლოგიური კურორტები – ბორჯომი, საირმე, უწერა, სურამი, 1000-1500 მეტრ სიმაღლეზე კი სამთო კლიმატური – აბასთუმანი, წაღვერი, ცემი, ფაფა, მანგლისი, მაღალმთიანი ზონის კურორტები 1500 მეტრს ზევით – ბაკურიანი, გუდაური, შოვი, ბახმარო, ლებარდე და სხვა, სადაც წარმატებით მკურნალობენ ფილტვის ტუბერკულიოზს, ბრონქიალურ ასთმას, სისხლნაკლებობას, გულსისხლძარღვთა დაავადებებსა და ნევროზს. 1990 წლამდე საქართველოს ტურიზმის მთავარი საფუძველი იყო მინერალური წყლები და მკურნალობა, შვებულების პერიოდში. ეს იყო დრო, როდესაც საქართველო 4 მილიონამდე ტურისტს იღებდა. ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მიმდინარე პოლიტიკურმა და მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა ფონმა ფაქტობრივად მოშალა და გააჩანაგა სასტუმროების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და სხვადასხვა ტურისტული ობიექტების დიდი უმრავლესობა. საბჭოთა პერიოდში, საქართველოში, ძირითადად ტურიზმის ორი სახე იყო ცნობილი: კულტურული ტურიზმი, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში მოიხსენიებოდა, როგორც «შემეცნებითი» ტურიზმი და სამკურნალო ტურიზმი. (12 ან 24 დღიანი საგზურით ქვეყნის სხვადახსვა სანატორიუმებსა და განთავსების ადგილებში). დასასვენებელი ან გასართობი ტურიზმი ძირითადად განვითარებული იყო საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე და იგი კულტურული ტურიზმის ელემენტებსაც შეიცავდა. ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, ტურიზმი და კურორტები ერთმანეთისაგან განუყოფელია. არ არსებობს ტურისტული მარშრუტი, რომელიც გვერდს უვლიდეს კურორტსა და საკურორტო ადგილს, ისევე როგორც, წარმოუდგენელია კურორტებზე დასვენება, მკურნალობა და გაჯანსაღება, რომელსაც არ ავსებდეს კულტურულ-შემეცნებითი, ბუნების გაცნობითი და სხვა სახის ტურიზმის მიმართულებები. ძნელად თუ მოიძებნება სხვა რომელიმე ქვეყანა, რომელსაც გააჩნდეს მსოფლიოში ცნობილი ყველა ტიპის სამკურნალო ფაქტორები: ზღვისპირეთისა და ზღვის კლიმატი, 2400-მდე მინერალური წყაროები 13000 მლნ ლიტრი დებიტით დღე-ღამეში, სამკურნალო ტალახები, სამკურნალო მღვიმეები და სხვა. საქართველოში ტურისტებს შესაძლებლობა აქვთ დატკბნენ არა მხოლოდ ულამაზესი ბუნებით და ლანშაფტებით, არამედ 35 ათასი ისტორიული ძეგლით, რომელთაგან 5 ათას სახელმწიფო იცავს. 1994 წლიდან ოთხი მათგანი იუნესკოს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა დაცვის სიაში შევიდა: 1. საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა, როგორც ქალაქი – მუზეუმი, 2. გელათის სამონასტრო კომპლექსი (XI ს.), 3. ბაგრატის ტაძარი ქუთაისში (XI ს.) და 4. უშგულის არქიტექტორული ანსამბლი. ტურისტულ პროგრამებში შესულია ანტიკური ხანის ნაქალაქარები: არმაზი (მცხეთა), ციხე-გოჯი (ნოქალაქევი, სენაკი), ანტიკური კოლხეთის რელიგიური ცენტრი ვანი, ნასტაკისი და ძალისი, კლდეში ნაკეთი ანტიკური ქალაქი უფლისციხე და სხვ. მათ რიგშია ადრე ფეოდალური (IV-VII ს.) ხანრის უნიკალური ძეგლები ძველი გავაზი (IV ს.), ბოლნისის სიონი (V ს.), მცხეთის ჯვარი (VI-VII სს). როგორც ქვემოთ დანართის სახით მოტანილი დიაგრამებიდან ჩანს 2008

წელისათვის 2007 წელთან შედარებით უცხოელი მოქალაქეების ჩამოსვლების რაოდენობა გაზრდილია 23%-ით, სადაც ჩამომსვლელთა რაოდენობით ყველაზე დიდი პროცენტით ხასიათდებიან: თურქეთი- 27,2%-ით, აზერბეიჯანი- 26,7%-ით, სომხეთი- 21,8%-ით, რუსეთი- 8,8%-ით. დიაგრამა გვიჩვენებს, რომ უცხოელი მოქალაქეების ჩამოსვლების რაოდენობა თვეების მიხედვით პიკს აღწევს ივლისაგვისტოს თვეებში, რაც შეეხება ტრანსპორტის სახეობების მიხედვით ჩამოსულ ტურისტთა რაოდენობას ყველაზე დიდი პროცენტი საავტომობილო ტრანსპორტს უკავია, ხოლო შემდეგ მოდის საჰაერო, საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტი. უცხოელი მოქალაქეები ჩამოსვლის მიზნის მიხედვით პროცენტული გადანაწილება 2008 წლის იანვარ-ივლისის თვეების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა: ბიზნესისა და პროფესიული აქტივობის მიხედვით- 39%, მეგობრებისა და ნათესავების მონახულების მიზნით-26%, დასვენებისა და რეკრეაციის მიზნით- 20%, ტრანზიტის- 4%, ვაჭრობის- 3%, მკურნალობის- 2%, განათლებისა და ტრენინგების- 2%, დასაქმება საერთაშორისო ორგანიზაციაში- 2%, სხვა მიზნით- 2%. როგორც ზემოთ მოტანილი დიაგრამებიდან ჩანს ყველაზე დიდი პროცენტი წარმოდგენილია ბიზნესისა და პროფესიული აქტიურობის მიხედვით ჩამოსულთა რაოდენობა, მაგრამ გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ, როდესაც მოწესრიგდება ქვეყანაში პოლიტიკური, ეკონომიკური საკითხები და ტურიზმის დარგის ინფრასტრუქტურა, უნდა ველოდოთ, რომ უცხოელი ტურისტების მოთხოვნა უფრო მეტად გაიზრდება დასვენებისა, რეკრეაციის და მკურნალობის მიზნით ჩამოსულთა რაოდენობა. 2008 წლის მარტი-ივლისის მიხედვით საქართველოში მოგზაურობის დღიური დანახარჯები ტრანსპორტის სახეების მიხედვით შეადგენს: საჰაერო- 164 ლარს, საზღვაო- 84,7 ლარს და სარკინიგზო- 38,8 ლარს.

3.2 საქართველოში ტურიზმის განვითარების პერსპექტივები

პერსპექტივაში ძირითად პრიორიტეტებად გამოყოფილია ტურიზმის და სოფლის მეურნეობის განვითარება. ამ უკანასკნელმა კი ხელი უნდა შეუწყოს უცხო ქვენიდან შემოსულმა ტურისტებმა სასურსათო პროდუქტების სახით მოიხმარონ ადგილობრივი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები და არა, ქვეყანაში იმპორტირებული სასურსათო პროდუქტები, ჯერ ერთი იმიტომ, რომ სასურველია უცხოელ ტურისტი დავაინტერესოთ ადგილობრივი ეროვნული სამზარეულოთი და

მეორე, რაც მთავარია ტურისტის მიერ დახარჯული ფული დარჩეს ადგილზე, რომელიც მოხმარდება ეროვნული ეკონომიკის განვითარებას და არა ისევ საზღვარგარეთ გაედინებოდეს, რაც ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტს გამოიწვევს. საერთაშორისო ექსპერტები საქართველოში ტურიზმის დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. სხვა უპირატესობებთან ერთად ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ ქვეყნის გეოგრაფიულ სიახლოვეზე მსოფლიოს მთავარ ტურისტულ ბაზართან-ევროპასთან. გერმანელი ტურისტები ყოველწლიურად ქვეყნის გარეთ 45 მილიარდ აშშ დოლარზე მეტს ხარჯავენ, დიდი ბრიტანელები-36 მილიარდს, ხოლო ისეთი პატარა ქვეყნის ტურისტები, როგორიცაა ჰოლანდია,-12 მილიარდ აშშ დოლარს. ვ. შუბლაძის აზრით („ფინანსები“, 2004) საქართველოს უდავოდ შეუძლია ტურიზმის განვითარების შემთხვევაში საფუძვლიანი პრეტენზია განაცხადოს ევროპელი (და არა მარტო ევროპელი) ტურისტების დანახარჯების გარკვეულ ნაწილზე. 2001 წელს ავსტრიამ, რომელიც თითქმის საქართველოს მასშტაბის ქვეყანაა, მხოლოდ ტურიზმიდან ერთი წლის განმავლობაში 10 მილიარდ დოლარზე მეტი შემოსავალი მიიღო. XX საუკუნის 90-იან წლებში, საქართველოში არსებულმა მდგომარეობამ ტურიზმის პროდუქციისა და ბაზრების მკვეთრი გამიჯვნა გამოიწვია. ადგილობრვი ტურიზმი თავისი ფორმითა და შინაარსით შეიცვალა, იგი საბაზრო პრინციპებით ფუნქციონირებს. ადგილობრივ ტურიზმში ჯერ კიდევ დომინირებს ორი ტიპის ტურისტული პროდუქტი: პირველი: ზაფხულის დასვენება-შავი ზღვის სანაპიროზე ან მთის ზონაში განლაგებულ კურორტებზე (მაგალითად ბორჯომ-ბაკურიანში); მეორე: ზამთრის დასვენება ბაკურიანსა და გუდაურში. მესამე ტიპის პროდუქტმა – სამკურნალო ტურიზმმა, თავისი ფუნქცია მნიშვნელოვნად დაკარგა, თუმცა ზოგიერთი სანატორიუმები და კურორტები იშვიათად გამოიყენება. სამკურნალო ტურიზმის შეზღუდვის მთავარი მიზეზებია მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის დაბალი დონე, სოციალური დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების მიმართ მოსახლეობის უნდობლობა და სხვ. რაც შეეხება უცხოურ ტურისტულ ბაზრებზე გასვლას და დამკვიდრებას, გამოყენებაშია ძირითადად ერთი - ე.წ. «სათავგადასავლო» (აღმოჩენითი) ტურიზმი.

მისი მარშრუტები მოიცავს ბუნებისა და კულტურული ძეგლების დათვალიერებას, როგორც წესი, სომხეთისა და აზერბაიჯანის ანალოგიურ ტურისტულ პროგრამებთან ერთად. ექსკურსიები ან მარშრუტები ფარავს საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილს და ყველა მნიშვნელოვან ისტორიულ ადგილს მოიცავს. ამ ტურების მსგავსად წარმოდგენილი არის სათხილამურო ცენტრები, ლაშქრობები, ალპინიზმი, ბოტანიკური ტურები და მარშრუტები, სპეციალური თემატიკის მიხედვით. ყველა შემომყვანი ოპერატორი ფოკუსირებას აღმოჩენით ტურპროდუქტებზე აკეთებს, ასე, რომ უცხოურ მომხმარებელზე ორიენტირებულია პრაქტიკულად ერთი ტიპის ტურისტული პროდუქტი - «სათავგადასავალო» ტურიზმი, რომელიც მთლიანი ტურისტული მოთხოვნის მხოლოდ მცირე ნაწილს მოიცავს, ამიტომ ტურისტთა რაოდენობა შედარებით მცირეა. საქართველოში ტურიზმის განვითარების

პერსპექტივას, საერთაშორისო ექსპერტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. სხვა უპირატესობებთან ერთად ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ ქვეყნის გეოგრაფიულ სიახლოვეზე მსოფლიოს მთავარ ტურისტულ ბაზართან-ევროპასთან. გერმანელი ტურისტები ყოველწლიურად ქვეყნის გარეთ 45 მილიარდ აშშ დოლარზე მეტს ხარჯავენ, დიდი ბრიტანელები-36 მილიარდს, ხოლო ისეთი პატარა ქვეყნის ტურისტები, როგორიცაა ჰოლანდია,-12 მილიარდ აშშ დოლარს. ვ. შუბლაძის აზრით („ფინანსები“, 2004) საქართველოს უდავოდ შეუძლია ტურიზმის განვითარების შემთხვევაში საფუძვლიანი პრეტენზია განაცხადოს ევროპელი (და არა მარტო ევროპელი) ტურისტების დანახარჯების გარკვეულ ნაწილზე. 2001 წელს ავსტრიამ, რომელიც თითქმის საქართველოს მასშტაბის ქვეყანაა, მხოლოდ ტურიზმიდან ერთი წლის განმავლობაში 10 მილიარდ დოლარზე მეტი შემოსავალი მიიღო. ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში აღინიშნება ქვეყანაში შემოსულ უცხოელ ტურისტთა და ვიზიტორთა ზრდის ტენდენცია. მხოლოდ მიმდინარე წელს, შარშანდელთან (იგივე პერიოდში) შედარებით მათი რიცხვი თითქმის 40%-ით გაიზარდა. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ 2004 წლის შემოდგომაზე საქართველო ერთიანი სტენდით პირველად წარსდგა ლონდონის მსოფლიო ტურისტულ ბირჟაზე და ეს პრაქტიკა გაგრძელდ 2005 წელსაც, როდესაც საქართველომ მონაწილეობა მიიღო მილანის, მიუნხენის, ბერლინის, სტამბულის, ბაქოს, ტოკიოს, კიევისა და ლონდონის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში. ვარაუდობენ, რომ მომავალში გამოფენებში მონაწილეობა უფრო მასშტაბური გახდებაა, რადგან ეს ქვეყნისადმი კვლევითი დეპარტამენტი ინტერესის გაზრდის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა (მაგალითისათვის, ლიტვის ტურიზმის დეპარტამენტმა 2005 წელს მსოფლიოს 24 გამოფენაში მიიღო მონაწილეობა). პირველ რიგში, აუცილებელია საქართველოს ეკონომიკაში ტურიზმის როლის სათანადოდ გაცნობიერება და ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შედგენა. რაც მოითხოვს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შემუშავებასა და არსებული კანონების (საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“- 1997 წლის 6 მარტი; საქართველოს კანონი „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ“- 1998 წლის 20 მარტი;), საქართველოს კანონი „საქართველოში შემოსულ და საქართველოდან გასული ტურისტების აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ“) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დახვეწა განვითარებას მოითხოვს. ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტში მუშავდება საქართველოში ტურიზმის განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც ეყრდნობა ტურიზმის მდგრადი განვითარების მსოფლიოში აღიარებულ პრინციპებს და აშკარა უპირატესობას ანიჭებს ბაზრის მოთხოვნის სტიმულირებას. მასში გამოკვეთილია ტურიზმის პრიორიტეტულობის შემდეგი კრიტერიუმები: -ტურიზმის ექსპორტაბელურობის მაღალი დონე და აქედან გამომდინარე, ქვეყნის შემოსავლების ზრდაში მისი დიდი პოტენციალი; -მოსახლეობის მასშტაბური დასაქმების შესაძლებლობა; -რეგიონალური ეკონომიკური განვითარების დონის გათანაბრების

რეზერვების არსებობა (ამის შესაძლებლობას იძლევა ტურისტული პოტენციალის ბუნებრივგეოგრაფიული განლაგება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე); -ეკონომიკის სხვა დარგების (ტურიზმის მომიჯნავე დარგების: ტრანსპორტი და კომუნიკაციის საშუალებები, დაზღვევა და საბანკო საქმიანობა, აგრარული სექტორი, კვების მრეწველობა, მშენებლობა) განვითარების მაღალი სტიმულირება ტურიზმის მაღალი მულტიპლიკატორულ-აქსელერატორული ეფექტით. ტურიზმის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებად მიჩნეულია: შემოსვლითი ტურიზმის ხელშეწყობა და სტიმულირება;

შიდა ტურიზმის განვითარება -საკონფერენციო ტურიზმის განვითარება; -ტურისტული და ზოგადი ინფრასტრუქტურის განვითარება; -კომპეტენტური კადრების მომზადება და გადამზადება; -დარგის სახელმწიფო რეგულირება; -საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან მისი ჰარმონიზაცია; ზემოგანხილულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ ტურიზმის სფეროში სახელმწიფო რეგულირება ეფუძნება არა აკრძალვით, არამედ წახალისების (ე.წ. “insentivur”) მეთოდს, როდესაც სახელმწიფოს მიერ დადგენილი გარკვეული კრიტერიუმების შესრულება კერძო სექტორისათვის იქნება მომგებიანი და სასარგებლო. ტუროპერატორებისათვის, სატუმროებისა და გამყოლებისათვის (გიდებისათვის) შემუშავდება სათანადო კრიტერიუმები, რომელთა შესრულებაკერძო სექტორისათვის სავალდებულო არ იქნება. მაგრამ სასტუმროებისა და აღნიშნული მომსახურე კვლევითი დეპარტამენტი პერსონალის მიერ ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მათ სახელმწიფო გარკვეულ პრივლეგიებს მისცემს. უნდა მოხდეს «ტურიზმისა და კურორტების შესახებ» და «კურორტებისა და საკურორტო ადგილების შესახებ» საქართველოს კანონებში, აგრეთვე საქართველოს სხვა კანონებსა და ნორმატიულ აქტებში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, რომელთა მიზანია დღეს არსებული კურორტებისა და საკურორტო ადგილების ძველი, საბჭოთა კავშირის დროინდელ პრინციპებზე დაფუძნებული სანიტარიული დაცვის ზონებიდან, სარეკრეაციო ზონებზე გადასვლა. აღნიშნული რეფორმის შედეგად სარეკრეაციო ზონები უნდა გახდეს ქალაქმშენებლობითი გეგმარების ნაწილი და საფუძველი, მეტი ყურადღება უნდა იქნას გადატანილი სივრცითი დაგეგმარების კომპონენტზე, ძირითადი დამკვეთი კი ტურიზმისა და კურორტების დარგის მართვის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო იქნება. ეს რეფორმა შეეხება როგორც საკურორტო სფეროს, ასევე ურბანიზაციისა და მშენებლობის, აგრეთვე გარემოსდაცვითი შესაბამისი სამსახურების ფუნქციებს. რაც შეეხება ეკოტურიზმის, სათავგადასავლო და აქტიური ტურიზმის ხელშეწყობას, განვითარების სტრატეგია გულისხმობს ლაშქრობებს, ეკოლოგიურ და ბუნების გაცნობით ტურებსა და მარშრუტებს სპეციალური თემატიკის მიხედვით. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ეკოტურიზმის ხელშეწყობისათვის აუცილებელია საქართველოს დაცულ ტერიტორიებსა და ეროვნულ პარკებთან მჭიდრო კოოპერაცია და ერთობლივი უწყებათაშორისი პროექტების განხორციელება. აქტიური და სათავგდასავლო ტურიზმის განვითარებისათვის განსაკუთრებული

მნიშვნელობა ენიჭება პროფესიული გამყოლების (გიდების) მომზადებასა და გადამზადებას. ასევე მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებული გზამკვლევების, რუკებისა და სხვა საინფორმაციო მასალის მომზადებას, სამაშველო სამსახურის ორგანიზებას. დოკუმენტში ასევე განხილულია შიდა ტურიზმის განვითარების პერსპექტივებიც. გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შიდა ტურიზმის, ისევე როგორც საერთაშორისო ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სოფლის ტურიზმის (აგროტურიზმის, ღვინის ტურიზმის) სტიმულირება. ყოველივე ამისათვის საჭიროა სოფლის მოსახლეობის დაინტერესება, მათი არსებული საცხოვრებელის (კერძო სახლების) გამოყენება ადგილობრივი თუ უცხოელი დამსვენებლების მისაღებად. აგრეთვე, მათთვის სპეციალური ტრენინგების ჩატარება მომსახურებისა და ღირსშესანიშნაობების წარდგენის უნარჩვევების ჩამოსყალიბებლად. სარეკლამო-საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვაგანხორციელება, რომლის მიზანი იქნება თბილისისა და რეგიონების მოსახლეობის სტიმულირება, სოფლის ტურიზმის განვითარების მიზნით. ტურიზმის სპეციალიზებული სახეობების - ღვინის ტურიზმისა და აგროტურიზმის განვითარება. მარკეტინგის კუთხით, აგროტურიზმისა და ღვინის ტურიზმის, როგორც ტურისტული პროდუქტის რეკლამირება და ხელშეწყობა. საქართველოს კონკურენტი ქვეყნების ტურისტული კომპანიების ტურპაკეტების საშუალო დღიური ღირებულება გვიჩვენებს ჩვენი ტურპროდუქტის არასაკმარის კონკურენტუნარიანობას. თურქული და რუმინული ტურპროდუქტის კონკურენტუნარიანობა აშკარაა. ამასთან, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ მნიშვნელოვანწილად ეს, ავიაბილეთების შედარებით დაბალი ფასებითაა მიღწეული, რაც ზრდის ამ ქვეყნების ტურპროდუქტების კონკურენტუნარიანობას ქართულთან შედარებით. კავკასიის რეგიონში, საქართველოს, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, საქმიანი შეხვედრებისა და საკონფერენციო ტურიზმის წარმატებით განვითარებისათვის საუკეთესო პირობები აქვს. არსებული დიდი სასტუმრო ცენტრები («შერატონი» და «მარიოტი») ასეთი ტიპის სერვისზეა ორიენტირებული, რაც მომავალში თბილისის საერთაშორისო საკონფერენციო ცენტრად ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს (უპირველეს ყოვლისა კავკასიის რეგიონის ფარგლებში). ქვეყანაში ტურიზმის განვითარების კონცეფციის ერთ-ერთი საკითხია სატრანსპორტო (საჰაერო, სარკინიგზო და საავტომობილო) კავშირების მოცულობა და ხარისხი, კავკასიის რეგიონების ცენტრებს შორის. მანამდე სანამ ეს პრობლემა დაიძლევა, აქცენტი შეიძლება გაკეთდეს მცირე და საშუალო ზომის საერთაშორისო ღონისძიებებისა და შეხვედრების ჩატარებაზე. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ძირითადი პრობლემა, რაც ქართული ,,სათავგადასავლო" (აღმოჩენითი) ტურპროდუქტის უცხოურ ბაზრებზე გატანის დროს იქმნებოდა, გამოწვეული იყო ქვეყნის პოლიტიკური არასტაბილურობით, მძიმე კრიმინოგენური სიტუაციით და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონით.

ტურიზმი მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან და დინამიურ დარგს წარმოადგენს. მრავალი ქვეყნის ეკონომიკაში ტურიზმს წამყვანი როლი ეკისრება

სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებაში, მთლიანი შიდა პროდუქტისა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნაში. ტურიზმი უდიდეს გავლენას ახდენს ეკონომიკის ისეთ დარგებზე, როგორებიცაა: ტრანსპორტი, კომუნიკაციები, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ფართო მოხმარების საქონლის წარმოება და სხვ. თავის მხრივ, ტურიზმის განვითარებაზე, მოქმედებს შემდეგი ფაქტორები: დემოგრაფიული, ბუნებრივ-გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, ისტორიული, კულტურული, რელიგიური, პოლიტიკურ -საკანონმდებლო და სამეცნიერო- ტექნიკური. ტურიზმის დარგის განვითარებისათვის ასევე მნიშვნელოვანია ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონე, თავისუფალი დროის ხანგრძლივობა, კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სურვილის ზრდა, ეკონომიკური, პოლიტიკური სტაბილურობა და სხვ. ამგვარად ტურიზმი გვევლინება, როგორც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კატალიზატორი.

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ცალკეული დარგების განვითარებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს მრავალდარგობრივი კომპლექსების ფუნქციონირებას. ტურიზმი ეროვნული ეკონომიკის დარგთაშორის კომპლექსს წარმოადგენს, რადგან მასზე პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენას ახდენს ეკონომიკის თითქმის ყველა დარგის განვითარების დონე.

ზოგადად, ტურიზმის განვითარების უპირველესი მიზანია უზრუნველყოს ეკონომიკური და სოციალური განვითარება. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ დღეს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ტურიზმს თვლის ქვეყნის განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვან და განუყოფელ ნაწილად.

ტურიზმის განვითარების ეკონომიკური მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო ტურიზმიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება (მაგალითად სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები), დასაქმების პერსპექტივები, მოსახლეობის შემოსავლების ზრდა და სახელმწიფო ხაზინაში ტურიზმიდან პირდაპირი და არაპირდაპირი შემოსავლებია. გარდა ამისა, ტურიზმი როგორც ეკონომიკის სექტორი, სარგებელს იღებს სხვა სფეროების აქტივობებისგან, შემდეგი მიზეზების გამო: 1). ტურიზმი ისტორიულად იყო და არის მზარდი დარგი; 2). საერთაშორისო ტურიზმში ინვესტიციების უმეტესობა შედარებით მდიდარი და განვითარებული ქვეყნებიდან მოედინება; 3). საერთაშორისო ტურიზმი მყარი ვალუტის წყაროა; 4). ტურიზმზე სავაჭრო აკრძალვები არ ვრცელდება; 5) ტურიზმი ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკის სხვა სექტორების განვითარებას.

ტურიზმის გლობალური ეკონომიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, იზრდება რა მხოლოდ საერთაშორისო ტურისტული რეისების, განთავსების საშუალებებისა და ატრაქციების, არამედ თვით ტურისტული დანიშნულების პუნქტების რაოდენობა. დღეს ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ რომელიმე ქვეყანაში ტურისტული დანიშნულების პუნქტი არ არსებობს ან რომელიმე ქვეყანა საერთაშორისო ტურიზმის სისტემაში ჩართული არ არის. სწორედ ამიტომ საჭიროა შესწავლილ იქნეს, ტურიზმის

ზეგავლენის მნიშვნელობა და დონე, არა მხოლოდ მსოფლიოს, არამედ ცალკეული რეგიონებისა და ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში.

საერთაშორისო ტურიზმის ბაზარი სწრაფი ტემპით ვითარდება და ნავთობწარმოებისა და მანქანათმშენებლობის დარგების შემდეგ მესამე ადგილს იკავებს მსოფლიოს ეკონომიკაში. აქედან გამომდინარე, თანამედროვე მსოფლიოში ტურიზმის ეკონომიკური როლი და მნიშვნელობა მუდმივად იზრდება, რაც განპირობებულია სხვადასხვა ქვეყნის შემოსავლების ზრდითა და მოსახლეობის ცხვორების დონის გაუმჯობესებით. ტურიზმის სწრაფ განვითარებას განაპირობებს ისიც, რომ ტურისტული ბიზნესის დასაწყებად საჭირო არ არის დიდი ფინანსური ინვესტიციები.

ტურიზმის გლობალური მნიშვნელობა- მსოფლიოს ტურისტულ ბაზარზე, მე-20 საუკუნის 70-იან წლების შუა პერიოდში, ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნის თვალსაზრიისით შესამჩნევი გარდატეხა მოხდა. შეიცვალა მიდგომა თავისუფალი დროის გამოყენებისადმი, კერძოდ, იმძლავრა „ცხოვრების ხარისხის ამაღლების ტენდენციებმა - არა მხოლოდ შთაბეჭდილებისა და სიამოვნების მიღების ზოგადმა სურვილმა, არამედ იმატა მოთხოვნამ მკვეთრ შთაბეჭდილებასა და დახვეწილ სიამოვნებაზე. ბუნებრივია, რომ თავისუფალი დროისადმი ასეთი მიდგომა შესაბამისად აისახა ტურისტული პროდუქტის მოთხოვნის ფორმირებაზეც.

ტურიზმზე მოთხოვნა მასობრივ ხასიათს ინარჩუნებდა. ტურიზმის მონაწილებად ძველებურად რჩებოდნენ ელიტარული საზოგადოებისა და საშუალო ფენის წარმომადგენლები. შედარებით დაბალი შემოსავლების მქონე ფენები ტურიზმში მხოლოდ მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ჩაერთო. ბაზარზე ცვლილებებს განსაზღვრავდა არა იმდენად შემოსავლების დონე, რამდენადაც ტურისტული მოთხოვნილებების ხასიათი. მასობრივი კონვეიერული ტურიზმი, რომელიც გამოირჩეოდა მომსახურების სტანდარტული ფორმებით, შეიცვალა დიფერენცირებული ტურიზმით, რადგან იგი უფრო ითვალისწინებდა ტურისტის მოთხოვნილებებს.

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრების დონის ამაღლება განაპირობებს დასაქმებულთა საშვებულებო დროის ზრდასა და საპენსიო უზრუნველყოფის მაღალ დონეს. ამ ქვეყნებში პენსაზე გასვლა ხდება შედარებით ადრეულ ასაკში, იზრდება ფინანსურად დამოუკიდებელ მარტოხელათა რიცხვი, მომუშავე ქალთა რაოდენობა, შესაბამისად, მატულობს გვიანი ქორწინებები, უშვილო ოჯახთა რიცხვი და ა.შ. ყველაფერი ეს იწვევს მოგზაურობაზე ადამიანთა სურვილის და შემდგომ უკვე მოთხოვნის ზრდას. ცვლილებები დემოგრაფიულ და სოციალურ სტრუქტურებში განაპირობებს მსოფლიოში მოგზაურობის მსურველთა რიცხვის ზრდას.

მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის ცვლილებას სწავლობს მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია, მათ რიცხვშია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციათა კავშირი. 1980 წელს აღნიშნულმა კავშირმა დაამტკიცა სოციალური ინდიკატორების სია, რომელშიც შედის

ინდიკატორი „დრო და დასვენება“-თავისუფალი დრო და მისი გამოყენება. ოჯახთა ხარჯების რაციონალურობის კრიტერიუმად გამოყენებულია გერმანელი ეკონომისტის ედუარდო ენგელის კანონი, რომლის თანახმადაც, ოჯახთა შემოსავლების ზრდასთან ერთად, ეცემა დანახარჯების წილი კვებაზე, ხოლო დანახარჯების წილი ფუფუნების საგნებზე, კულტურულ და სხვა არამატერიალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შესამჩნევად იზრდება.

მსოფლიო ტურიზმში დღეს მიმდინარე პროცესებიდან შეიძლება გამოიკვეთოს შემდეგი ტენდენციები:

საერთაშორისო მასშტაბით ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნის ზრდა;

ტურისტული ინდუსტრიის ცალკეული დარგების განვითარების წინმსწრები ტემპები;

საერთაშორისო ტურიზმის როლის მკვეთრი ზრდა ქვეყნის ეკონოიკურ განვითარებაში;

შემომყვანი და გამყვანი ტურიზმის გეოგრაფიული სტრუქტურის ცვალებადი ხასიათი.

ზოგადად, ტურიზმის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე გამოიხატება ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებით, ტურიზმის ხვედრითი წილით ქვეყნის ექსპორტში და საგადამხდელო ბალანსში, ქვეყნის ბიუჯეტში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებით, ტურიზმის განვითარებით მიღებული ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობით.

ტურიზმი, როგორც ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტი - ტურიზმის დარგის უნიკალურობას განსაზღვრავს ისიც, რომ ტურისტების შემოყვანა მთლიანად მუშაობს ქვეყნის შიდა ბაზრის გაფართოებაზე. აქედან გამომდინარე, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ტურიზმი სხვადასხვა ხარისხით შეხებაშია ეკონომიკის მრავალ დარგთან და ხელს უწყბს მის განვითარებას.

ტურისტული საქმიანობის პრაქტიკაში არსებობს ქვეყნების ორი ჯგუფი: 1. ქვეყნები, რომლებიც უფრო მეტ ტურისტს აგზავნიან, ვიდრე იღებენ (მიმწოდებელი ქვეყნები, ანუ ქვეყნები, რომლებიც გამოირჩევიან საერთაშორისო ტურიზმში მაღალი მსყიდველობითი უნარით) და 2. ქვეყნები, რომლებიც უფრო მეტ ტურისტს იღებენ, ვიდრე აგზავნიან (მიმღები ქვეყნები, ანუ ქვეყნები, რომლებიც ღებულობენ ტურიზმიდან შემოსავლებს). მიმწოდებელ ქვეყნებს შეიძლება მივაკუთვნოთ გერმანია, აშშ, გაერთიანებული სამეფო, ჩინეთი, იაპონია, იტალია და სხვ. ხოლო მიმღებ ქვეყნებს კი საფრანგეთი, ესპანეთი და სხვ.

ქვეყნები, რომლებშიც ტურიზმი მაღალ დონეზეა განვითარებული, ანუ მსოფლიოს პოპულარული ტურისტული ცენტრების, რიგითობის დადგენა შესაძლებელია-ტურისტთა შემოსავლების რაოდენობით და მათგან მიღებული შემოსავლებით. გლობალური ეკონომიკური და ფინანსრუი კრიზისების პერიოდში, თითქმის ყველა ბაზარი განიცდის სხვადასხვა ხასიათის რყევებს. აღნიშნული მოვლენა აისახა ტურიზმის გავნითარებაზეც. ტერორიზმი, სტიქიური უბედნურებები, ნავთობზე ფასების სპეკულაციური მატება, ვალუტის კურსის მერყეობა, ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურონა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი - ეს იმ ძირითად

პრობლემათა ჩამონათვალია, რომლებიც დიდ გავლენას ახდენს მსოფლიოს ტურისტულ რეგიონებში ტურიზმის განვითარებაზე.

გლობალური ეკონომკური კრიზისიდან გამომდიარე, საერთაშორისო ტურიზმში უარყოფითი ტენდენცია გამოვლინდა 2008 წლის მეორე ნახევრიდან და, მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობის სწრაფ გაუარესებასთან ერთად, გაგრძელდა 2009-2010 წწ-შიც. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ექსპერტების აზრით ტურიზმი მეტი მდგრადობით გამოირჩევა ვიდრე ეკონომიკის ისეთი სექტორები, როგორებიცაა: მშენებლობა, მანქანათმშენებლობა, უძრავი ქონებით ვაჭრობა და ა.შ., რადგან დასვენება აღარ ითვლება მხოლოდ ფუფუნებად და სიამოვნებად, დღეს იგი თანამედროვე ადამიანის ცხოვრების წესი გახდა.

დასკვნები და რეკომენდაციები

ტურიზმის სფეროში ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოვლინდა რიგი პრობლემები, განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ტურიზმის სააღრიცხვო სისტემის არარსებობა

დღესდღეობით საქართველოში ვერ ხერხდება ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვა. საჭირო ინფრასტრუქტურისა და სააღრიცხვო სისტემის არარსებობის გამო არ ხდება საკურორტო ადგილებში საკუთარი სახლების გამქირავებელთა შემოსავლების აღრიცხვა. ყოველივე აღნიშნული კი განაპიროებებს იმას, რომ რეალურად ქვეყნის ბიუჯეტში ტურიზმიდან შესული თანხები ძალიან მწირია.

მოცემული პრობლემა შესაძლებელია მოგვარდეს საქართველოში მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად შემუშავებული ტურიზმის სატელიტური აღრიცხვის სისტემის შესწავლით, საქართველოსთვის ადაპტაციითა და შემდგომ მისი ქვეყანაში დანერგვით.

უსაფრთხოების არადამაკმაყოფილებელი დონე ქვეყანაში

ტურიზმის განვითარებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს საქართველოში უსაფრთხოების არადამკმაყოფილებელი დონე. აფხაზეთისა და ოსეთის ტერიტორიაზე არსებული დაძაბული სიტუაცია ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ ტურისტებზე, რის გამოც მათ შეიძლება უარი თქვან საქართველოში ჩამოსვლასა და დასვენებაზე.

ამას თან ერთვის ქვეყანაში არსებული კრიმინოგენული სიტუაცია, რადგან ხშირია როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ ტურისტებზე თავდასხმისა და გატაცების შემთხვევები.

არადამაკმაყოფილებელი უსაფრთხოების დონე კურორტებზე

ეს გამოწვეულია რეგიონებში სამაშველო სამსახურის არაქმედუნარიანობითა და სიმცირით. გარდა ამისა საკურორტო ადგილებში, განსაკუთრებით კი მაღალმთიან რეგიონებში, პრობლემას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების მიღება.

აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად მიზანშეწონილი იქნება მომზადდეს:

კვალიფიციურ მაშველთა კორპუსი, როგორც საზღვაო კურორტების, ასევე მაღალმთიანი რეგიონებისათვის;

შეიქმნას პირველადი დახმარების სამედიცინო მომსახურების პუნქტების ქსელი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

მძიმე სანიტრულ-ჰიგიენური მდგომარეობა კურორტებზე

ამ მხრივ მეტად სავალალო მდგომარეობაა სანაპირო ზოლში, რადგან თითქმის არ ხდება სანაპიროს დასუფთავება და საჭირო სანიტარული ნორმების დაცვა. ასევე ხშირია ზღვის დაბინძურება სხვადასხვა ჩამდინარე ნარჩენებით, გემების ნარეცხი

წყლებითა თუ ჩაღვრილი ნავთობით. ყოველივე ეს საფრთხეს უქმნის დამსვენებელთა ჯანმრთელობას.

გარდა ზემოაღნიშნულისა საქართველოში ჯერ კიდევ არ არის ყველა ადამიანის ცნობიერებაში გარემოს დაცვის აუცილებლობისადმი სერიოზული მიდგომა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე აუცილებელია:

გაუმჯობესდეს რეგიონებისა და ქალაქების შესაბამისი კეთილმოწყობის სამსახურების საქმიანობა. მუდმივად მოხდეს საკურორტო ადგილების დასუფთავება და სანიტარული ნორმების დაცვა;

შესაძლებლია PR კამპანიის განხორციელება ადამიანების ცნობიერების ამაღლების მიზნით.

მოშლილი საგზაო და სატრანსპორტო სისტემა

საქართველოს უმეტეს მაღალმთიან რეგიონში მთლიანად მოშლილია საგზაო სისტემა, ამ მხრივ საკმაოდ ცუდი მდგომარეობაა სამცხე-ჯავახეთში. საგზაო სისტემა იმდენად გაუმართავია, რომ ვერ ხერხდება ტრანსპორტირება.

ამასთანავე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქვეყანაში არ არსებობს შიდა ავიარეისები, რაც საკმაოდ გააადვილებდა გადაადგილებას. საქართველოს მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი კავშირები აქვს რუსეთსა და ევროპასთან, მაგრამ სამხრეთ კავკასიის რეგიონში და ახლო აღმოსავლეთთან დამაკავშირებელი რეისების რაოდენობა ძალიან მცირეა. ეს კი იწვევს იმას, რომ ზოგიერთი პოტენციური ბაზრის მოცვა გართულებულია და ძნელდება კომბინირებული რეგიონალური ტურების მოწყობა.

ჩვენი ქვეყანა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს და ორი ნავსადგურიც გაგვაჩნია, მაგრამ მიუხედავად ამისა დღესდღეობით საზღვაო ტრანსპორტით ტურისტთა გადაყვანა თითქმის არ ხდება, რითაც ისევ და ისევ პოტენციური შემოსავლები იკარგება ტრანსპორტის სფეროდან.

რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი:

აუცილებელია გაუმჯოებესდეს საგზაო სისტემა მაღალმთიან და შედარებით ძნელად მისადგომ ადგილებში, რადგან ტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი პოტენციალი სწორედ მაღალმთიან რეგიონებშია თავმოყრილი;

გზების გამართვასთან ერთად საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევის მიზნით აუცილებელია მათი კეთილმოწყობა, განათება, ავტოგასამართი და კავშირგაბმულობის პუნქტების განთავსება;

ტრანსპორტირებისას უსაფრთხოების დაცვის მიზნით დაწესდეს სტანდარტები სატრანსპორტო საშუალებებისათვის და რეგულარულად ხდებოდეს მძღოლთა კვალიფიკაციის შემოწმება;

მოხდეს სამარშრუტო ქსელის გაფართოება და მაღალმთიან რეგიონებში პირდაპირი მარშრუტების დანიშვნა;

მიზანშეწონილი იქნება შიდასაქვეყნო, რეგიონთაშორისი ავიარეისების დანიშვნა;

აღდგეს საზღვაო რეისები ვიზიტორების ტრანსპორტირებისა და გასეირნებისათვის.

სასტუმროთა და სააგენტოთა ქსელის განუვითარებლობა

საქართველოს კურორტები ვიზოტორებს ვერ უზრუნველყოფენ თავშესაფრით სასტუმროში, იმდენად რამდენადაც რეგიონებში მათი რაოდენობა არასაკმარისია. ამავე დროს არსებული კერძო სასტუმროების ნომენკლატურა საკმაოდ მწირია მომსახურების დონე კი დაბალი, რასაც ვერ ვიტყვით მათ მიერ შემოთავაზებულ ტარიფებზე.

აღნიშნული პრობლემა შეიძლება გადაჭრილ იქნას:

ტურიზმის სფეროში ინვესტიციების მოზიდვით და საერთაშორისო სტანდარტების სასტუმროთა ქსელის განვითარებით;

ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასტუმროთა მომსახურების ასორტიმენტის გაზრდა.

საქართველოს ტურიზმის პოტენციალის შესახებ სრულყოფილი საინფორმაციო ბაზის არარსებობა

ქვეყანაში არ არსებობს სრული საინფომაციო ბაზა საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ, სადაც აღწერილი იქნება საქრათველოს რეგიონებში არსებული კურორტები, თავისი ღირსშესანიშნაობებით. ასევე არ არსებობს სასტუმროთა და სააგენტოთა ბაზა, რომელიც შეიცავდა მათი მომსახურების სახეებს და საქმიანობის სრულ აღწერას. ყოველივე აღნიშნულის არსებობა სასიკეთოდ წაადგებოდა ტურიზმს, რადგან სრული საინფორმაციო ბაზა დახმარებას გაუწევდა, როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ტურისტებს. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

შეიქმნას სასტუმროებისა და სააგენტოების სრულყოფილი საინფორმაციო ელექტრონული ბაზა, რომელიც ინტერნეტის საშუალებით ხელმისაწვდომი იქნება მსოფლიოს ნებისმიერ მცხოვრებისათვს;

შეიქმნას საქართველოს ტურისტული პოტენციალის აღწერის ელექტრონული ბაზა, რომელიც ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას მსოფლიოს მასშტაბით საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის რეკლამირებისა და პოტენციურ ტურისტთა ყურადღების მიპყრობისათვის;

საჭიროა სააგენტოების მხრიდან შიდა ტურიზმზე ორიენტირება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბეროვსი კ.ვ., პავერსი ტ., რეინოლდსი დ. შესავალი მასპინძლობის მენეჯმენტში, თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა 2012.

2. გერბერა კ. კულტურული ტურიზმის ეკონომიკური ეფექტის შესახებ, ქართული ხელოვნება ევროპისა დ აზიის კულტურათა კონტექსტში, თეზისები, ვ. ბერიძის სახელობის ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბილისი 2008.

3. დევიძე ე. კულტურული მემკვიდრეობა და იმერეთის ტურიზმის განვითარების პრობლემები, დისერტაცია, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012.

4. თოფჩიშვილი რ. საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2010.

5. კვარაცხელია ნ. კულტურული ტურიზმი, თბილისი 2004.

6. კვარაცხელია ნ. საქართველოში კულტურული ტურიზმის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები, ქართული ხელოვნება ევროპისა და აზიის კულტურათა კონტექსტში, თეზისები, ვ. ბერიძის სახელობის ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბილისი 2008.

7. მახარობლიძე თ. ბასკური და ქართველური დესტინაციური სისტემების ტიპოლოგია, თბილისი, მეთოდიკური ჟურნალი „მერმისი“ 6-7, 2006.

8. რუხაძე ჯ. ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში ბერიკაობა-ყეენობა, თბილისი, „ინტელექტი“ 1999.

9. საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა (შეიცანი და

დაიცავი), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს იუნესკოსა

და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ მომზადებული ბროშურა, თბილისი 2012.

10. სტოველი ჰ. რისკითვის მზადყოფნა – მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის

მენეჯმენტის სახელმძღვანელო, თბილისი, "ნეკერი" 2007.

11. სურგულაძე ი. მითოსი, კულტი, რიტუალი, თბილისის უნივერსიტეტის

გამომცემლობა, თბილისი 2003.

12. ტუროპერეიტინგი - საქმიანობის ორგანიზაცია: (დამხმარე სასწავლო-მეთოდური

მასალა ე.ილინას წიგნის "ტუროპერეიტინგი" მიხედვით). ნაწილი I ,ტუროპერეიტინგის საფუძვლები /შემდგენელი: კობა არაბული; ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი, ტურიზმის მენეჯმენტის ცენტრი. თბილისი 2006.